გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№20 (1046) 23 - 24 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„უნდა მოხდეს მსხვერპლშეწირვა!“

პრემიერის ახალი ინიციატივა, რომელიც სამუშაო ადგილებს შექმნის

გვ. 6

გია ხუხაშვილი სამთავრობო კრიზისს აანონსებს

გვ. 7

ვახტანგ ძაბირაძე

„ნაციონალებს იმდენი ფული აქვთ, ივანიშვილს არ დაესიზმრება!“

გვ. 3

სექსუალური ძალადობა აჭარის „ოცნებაში“



გვ. 2

„ქართულმა ოცნებამ“ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაკარგა

„ეკა ბესელიამ პრესას მიმართა, გვენეტაძემ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო!“

რა კავშირი ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან, შეუთავაზებიათ თუ არა ქრთამი და რაფომ შეეცოდა ინგლისელ მოსამართლეს — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის პორტრეტი სხვა რაკურსით

გვ. 4-5

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

ბანქო ოჯროს კბილზე

პატიმრის დღიური

როგორ იძია შური პატიმარმა ჯეკომ „პადერნიკზე“

გვ. 8

სექსუალური ძალადობა აჭარის „ოცნებაში“

„ქართულმა ოცნებამ“ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაკარგა

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ ბათუმიდან

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, მედეა ვასაძემ ვიცე-სპიკერი ბაციკაძე თანამშრომელზე სექსუალური ძალადობის მცდელობაში დაადანაშაულა. თავის მხრივ, ბაციკაძემ განაცხადა, რომ მედეა ვასაძემ მისი პირადი ცხოვრების აფიშირება მოახდინა, რითიც კანონი დაარღვია და მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

„საქმე ეხება აჭარის საკანონმდებლო ორგანოში წელიწადნახევრის წინ მომხდარ ფაქტს. უმაღლეს საბჭოში საქმის მოკვლევა დასრულდა და დანაშაულის ნიშნები არ დადასტურდა. საქმე პროკურატურასაც კი არ გადასცემია, რადგან მომჩივანი არ მყავდა. მოვუწოდებ ვასაძეს, თამაშის ბინძური წესების ნაცვლად, რასაც მთელი ცხოვრება ეწევა, ოპონირების ჯანსაღი მეთოდი აირჩიოს. ვასაძის მიერ გავრცელებულ დოკუმენტაციაში იმ ქალბატონის იდენტიფიცირება ხდება, რაც მისი უფლებების დარღვევაა. ვასაძის წინააღმდეგ სასამართლოში შემაქვს სარჩელი“, — განაცხადა ბაციკაძემ.

ყოფილი ვიცე-სპიკერის განცხადების პასუხად, მედეა ვასაძემ აღნიშნა, რომ დეპუტატებს დოკუმენტაცია სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე, ინფორმირებულობის მიზნით დაურიგა.

„კანონი არ დამირღვევია. არც პირადი ინფორმაცია გამისაჯაროებია — ინციდენტი საკანონმდებლო ორგანოს კედლებში მოხდა, საჯარო პირებს შეეხება და, შესაბამისად, მათდამი საზოგადოების ინტერესი მაღალია. რაც შეეხება ქალბატონის იდენტიფიცირებას, დოკუმენტი აპარატს გადავუგზავნე და წერილობით მივმართე, სახელის იდენტიფიცირება არ მომხდარიყო. დოკუმენტაციის გასაჯაროების შესახებ თავად ის ქალბატონიც ინფორმირებული იყო“, — განაცხადა ვასაძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ბაციკაძე თანამდებობიდან რამდენიმე დღის წინ გადაყენეს. გადაწყვეტილებას მხარი ნაციონალური მოძრაობის რვა დეპუტატმა, დამოუკიდებელმა დეპუტატმა მედეა ვასაძემ და „ქართული ოცნების“ ორმა დეპუტატმა — ჯემალ ფუტკარაძემ და სვეტლანა კუდბამ დაუჭირეს.

„დავით ბაციკაძე უნდა წავიდეს იმიტომ, რომ კორუფციულ სქემებშია ჩართული და ეს სქემები გადის არა მარტო ბაციკაძეზე, არამედ, არჩილ ხაბაძესა და მის მთავრობაზე“, — ამბობს მურმან დუმბაძე.

მოკლედ, აჭარის უმაღლეს უმრავლესობა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობა დაკარგა. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი და ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ თანამდებობიდან უნდა გადააყენონ ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, რადგან უმრავლესობა დაეშალა.

თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა ვიცე-სპიკერმა დავით ბაციკაძემ იმ პირებს, რომლებმაც ხმა მის წინააღმდეგ მისცეს, რევანშისტები უწოდა. მისი თქმითვე, მურმან დუმბაძე ნაციონალური მოძრაობის სახეა და მის ინტერესებს ემსახურება.

„მე და ალეკო ჩიტიშვილი ვართ „ქართული ოცნების“ სახე, მურმან დუმბაძე კი, ნაციონალური მოძრაობის სახეა. ისინი არიან რევანშისტები. მურმან დუმბაძის ინტერესი ლევან ვარშალომიძის ინტერესია. მათ ყოველთვის ერთი ინტერესი ჰქონდათ“, — განაცხადა დავით ბაციკაძემ.

აღსანიშნავია, რომ მედეა ვასაძე დავით ბაციკაძეს ბრალს მუქარაში სდებს და ამბობს, რომ ბაციკაძემ საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც მხარი მის გადაყენებას დაუჭირეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მათ შორის, სვეტლანა კუდბასაც, რომელმაც ხმაურიანი სხდომის წინა დღეს საბჭო ატირებულმა დატოვა.

„ერთადერთი ინვალიდი შვილის დედა ვარ და მინდა, საჯაროდ განვაცხადო: თმის ერთი ღერიც რომ ჩამოუვარდეს ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს, რეგიონში ძალიან ცუდი პროცესები დაიწყება!.. ეს იყო გაჭრილი გინება და შანტაჟი, თუმცა უმრავლესობის მამაკაცებს ამაზე რეაგირება არ ჰქონდათ. ბაციკაძე ცოტა ხანში მაგათი ოჯახის ქალებს მიადგება. ქალბატონი სვეტა სამი დღეა, საშინელი ზეწოლის ქვეშაა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ“, — განაცხადა მედეა ვასაძემ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მზად ვართ, ქამრები შემოვიჭიროთ!“

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გადახედვას გეგმავს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა.

პრემიერის განმარტებით, მთავრობას 5%-იანი ზრდა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა ამის გადახედვა შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე მოუწევს.

„ჩვენ ვაპირებთ გადავხედოთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს. მაგალითებს გეტყვით: აზერბაიჯანმა სულ ახლახანს გამოაცხადა, რომ მათი ეკონომიკური ზრდა იქნება 1.5%. სომხეთისა და მოლდოვას 0%, ევროპაში ეკონომიკური ზრდის მაქსიმუმი 1-2%-ია. ჩვენ რა თქმა უნდა, ვერ ვიქნებით გამონაკლისი. დაგეგმილი გვქონდა 5%-იანი ზრდა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მოგვიწევს ამის გადახედვა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა, თუმცა რა პროცენტული მაჩვენებლით შესაძლოა შემცირდეს საქართველოს ეკონომიკური ზრდა, არ დაუკონკრეტებია.

ამასთან, პრემიერი აცხადებს, რომ მთავრობა მზადაა, ქამრები შემოიჭიროს. როგორც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, იმ ფონზე, როცა ლარის გაუფასურებამ ნეგატიური გავლენა იქონია მოქალაქეებისა და კომპანიების ჯიბეზე, აუცილებელია მოხდეს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება.

„ვინაიდან, ლარის გაუფასურებამ ნეგატიური გავლენა იქონია ჩვენი მოქალაქეების ჯიბეზე, ასევე კომპანიებზე, ჩვენც მზად ვართ, რომ იტყვიან, ქამრები შემოვიჭიროთ და მაქსიმალურად ეფექტიანად გავაგრძელოთ მუშაობა კოორდინირებულად ერთად. ჩვენ ყველაფერს უნდა გადავხედოთ. ალბათ, მოგვიწევს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. მაქსიმალურად, გონივრულად, მიზანმიმართულად და რაციონალურად უნდა ვხარჯოთ ჩვენი ბიუჯეტი“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, რომლის ინფორმაციითაც, მთავრობა შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად, ეროვნულ ბანკთან 24-საათიან რეჟიმში მუშაობს.

პრემიერის განმარტებით, მთავრობას აქვს კონკრეტული გეგმები, რომელიც სწორედ მდგომარეობის „ძალიან სწრაფად გამოსწორებას“ ემსახურება.

„რეგიონში ძალიან მძიმე ეკონომიკური ვითარებაა. მოგეხსენებათ, საომარი მოქმედებები მიმდინარეობს უკრაინაში. რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ზოგადად ევროპაში არის კრიზისი. საქართველო, თავისი პატარა ეკონომიკით არის დაკავშირებული ამ გლობალურ ეკონომიკასთან. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჩვენზე ნეგატიურად აისახება. ვერ ვიქნებით გამონაკლისი და წარმატებული ამ მძიმე ვითარებაში, მაგრამ ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმები, რომელთა ყველა კომპონენტი ემსახურება იმას, რომ სიტუაცია ძალიან სწრაფად გამოსწორდეს. იგივე ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, საინტერესო წინადადებები გვაქვს მომზადებული, რომელთაც მალე გავაჟღერებთ“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

იმერეთის გუბერნატორი გადადგა

ზაზა მეფარიშვილმა ამის შესახებ განცხადება სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.

„პრემიერ-მინისტრთან შემდგარი კონსულტაციების შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. დასამალი არ არის, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს რამდენჯერმე მივმართე თხოვნით, დავბრუნებოდი ჩემს პროფესიულ საქმიანობას, მაგრამ არსებულ ვითარებაში მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი არის დროული და ხელს შეუწყობს როგორც იმერეთის რეგიონის განვითარებას, ასევე მიმდინარე პროცესების ეფექტურ წარმართვას.

უნდა აღვნიშნო, რომ განვლილ პერიოდში ჩვენ შევძელით, ჩამოგვეყალიბებინა პროფესიონალ და პატიოსან ადამიანთა გუნდი და 2014 წლის შედეგების მიხედვით იმერეთის გუბერნიის ადმინისტრაცია იყო ერთ-ერთი წარმატებული, გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიხედვით საუკეთესო. ეს ჩემთვის არის საამაყო, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობრებს. ამავე დროს, ყოველი საქმე მოითხოვს განახლებას და შესაძლებლობების ობიექტურად შეფასებას. ვიმედოვნებ, მოსალოდნელი საკადრო ცვლილება მოიტანს ახალ ხედვებს და ახალ წარმატებებს, განსაკუთრებით საინვესტიციო სფეროში, რაც რეგიონის მოსახლეობის დასაქმების უკეთეს პერსპექტივებს განსაზღვრავს. მინდა, მადლობა გადავუხადო ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს გამოხატული ნდობისა და მხარდაჭერისთვის, რაც ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო მიღწეულ შედეგებში და ვუსურვო მას, მთავრობის მთლიან შემადგენლობას და ახალ გუბერნატორს წარმატებები. და ბოლოს, ეს ნაბიჯი კიდევ ერთი კარგი გზავნილი იქნება რეგიონის საზოგადოებისათვის, რომ თანამდებობა მარტო უფლებამოსილება და პირადი კომფორტი კი არა, არამედ ეს პირველ რიგში პასუხისმგებლობაა როგორც ხალხის, ასევე საკუთარი თავის წინაშე. გმადლობ, გისურვებთ წარმატებებს“, — განაცხადა მეფარიშვილმა.

ბოლო პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეფარიშვილს თანამდებობის დატოვება სურდა და მან მთავრობის მეთაურს ირაკლი ღარიბაშვილს გადადგომის მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართა. ზაზა მეფარიშვილი იმერეთის რეგიონის გუბერნატორის თანამდებობას 2013 წლის დეკემბრიდან იკავებდა.

„პირველი რადიო“

რუსთავში ეკლესია გაქურდეს

რუსთავში ხარების ეკლესია გაქურდეს. შემთხვევა 22 თებერვალს, ღამით მოხდა. დილით ტაძარში მისულ მესანთლეს და მოძღვარს შესაწირი ყუთი გატეხილი დახვდათ, საიდანაც თანხაა წაღებული. ქურდმა ტაძარში, სავარაუდოდ, ფანჯრიდან შეაღწია.

შემთხვევის ადგილზე გამოძახებული იყო პოლიცია, ექსპერტ-კრიმინალისტები. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაწყებულია გამოძიება.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პოლიტიკური სცენარი, რომლითაც ხელისუფლება შეიცვლება

ვახტანგ ძაბირაძე: „ნაციონალებს იმდენი ფული აქვთ, ივანიშვილს არ დაესიზმრება!“



მას შემდეგ, რაც თბილისში ვიზიტად მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე ისაუბრა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დაგვემუქრა, ნატო-სკენ ფეხი არ გადადგათ, თორემ ისევ გადაგივლითო. აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა კი „ოცნებას“ ჰკითხა, საარჩევნო კოდექსი თუ შეცვალეთ და ოპოზიციას თუ ელაპარაკებითო. ეს განცხადებები, ცხადია, შემთხვევით არ გაკეთებულა... რა იქნება ყველაფრის ლოგიკური დასასრული? — „ვერსია“ ამის გარკვევას კონსტიტუციონალისტსა და პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძესთან შეეცადა.

— პოლიტიკურ მოვლენათა ეპიცენტრი მომავალი კვირიდან ისევ პარლამენტში გადავა, სადაც უზენაესი სასამართლოს პირველკაცს აირჩევენ. ამ თემაზე უმრავლესობაში არსებული განხეთქილება და პრეზიდენტთან დაპირისპირება რას ნიშნავს, ბატონო ვახტანგ?

— პოსტი მართლა ძალიან მნიშვნელოვანია, ამ თანამდებობის დაკავება ნებისმიერი იურისტისთვის კარიერის პიკია — 10-წლიანი გარანტირებული სამსახური, ხელშეუხებლობა და ა.შ. გარდა ამისა, ნებისმიერი იურისტისა და პოლიტიკოსის ამბიციაა, სასამართლო სისტემა დამოუკიდებლად ჩამოყალიბდეს და ეს სავსებით ჯანსაღი პროცესია.

— რაც ახლა პარლამენტში ხდება, ჯანსაღ პროცესს ვერ დავარქმევთ...

— რაც პარლამენტში მიდის, პოლიტიკური ბრძოლაა და თუ ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობა არ დარეგულირდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვინც უნდა იყოს, ძალიან გაუჭირდება. ამ ბრძოლაში რამდენიმე ჯგუფი მონაწილეობს და თავისთავად, დიდი პოლიტიკური გავლენაა, როცა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი სასამართლო ხელისუფლებაში მიდის. მარგველაშვილი, რა თქმა უნდა, ყველასთვის მისაღებ კანდიდატს ვერ დაასახელებდა, მაგრამ თუ საუბარი მაინცდამაინც კრიტერირიუმებზეა, ერთადერთი კრიტერიუმი მაქვს — ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ესმის, რომ ამ სისტემის რეფორმირება აუცილებელია. როგორც გვენეტაძე, ისე ქუცნაშვილი, 2009 წელს საკონსტიტუციო კომისიის წევრები იყვნენ და თუ აზრი არ შეუცვლიათ, ამ მხრივ მათთან კითხვები არ მაქვს.

— დიდი ხანია, ალასანია-უსუფაშვილ-მარგველაშვილს ერთ ბანაკად მოიაზრებენ. პრეზიდენტმა კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად სწორედ ყოფილი რესპუბლიკელი დაასახელა, რომელსაც მხარი ღიად, ჯერჯერობით, მხოლოდ ყოფილმა პარტიამ და თავისუფალმა დემოკრატებმა დაუჭირეს. როგორ ფიქრობთ, გვენეტაძის კანდიდატურა ლაკმუსის ქაღალდად ხომ არ იქცევა, რომელიც კოალიციაში ძალებს გადაალაგებს?

— კოალიცია, რესპუბლიკელების გარეშე, ერთგვაროვანი ისედაც არაა, თან ალბათ, თავისუფალი დემოკრატები მიიჩნევენ, რომ შავგულიძეს ნაკლები შანსი აქვს და მათი მხარდაჭერა გვენეტაძემ მიიღო. ვფიქრობ, ნინო გვენეტაძეს „ოცნების“ რაღაც ნაწილიც მხარს დაუჭერს. იგი სუსტი კანდიდატი არაა, თუმცა არ ვამბობ, რომ გასვლა გარანტირებული აქვს... რაკი რესპუბლიკელებთან ასოცირდება, ვერ ვიტყვი, რომ კოალიციაში განხეთქილება ამის ბრალია. ჯგუფური ინტერესები მანამდეც იკვეთებოდა, თუმცა ახლა პოლიტიკური ცხოვრება უკვე იმ ფაზაშია, როცა ყველა ამბობს, რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდესო. უმრავლესობაში დამკვიდრება და ახალი ადგილის ძებნა ბუნებრივად იწყება. ეს ყველგან ასეა და საქართველოში ანგელოზებით რატომ უნდა იყოს პოლიტიკური სპექტრი დაკომპლექტებული? ორი რამ ფაქტია: დავით საგანელიძის მცდელობა, რაც შეიძლება მეტი გავლენა ჰქონდეს უმრავლესობაზე და ზაქარია ქუცნაშვილის გარშემო ახალი ჯგუფის შექმნა. ვინ რაზე ოცნებობს, არ ვიცი, მაგრამ ეს დაპირისპირება უფრო პარტიაშია და არა მთელ კოალიციაში.

— რესპუბლიკელების წინააღმდეგ კიდევ ერთი, ივანიშვილის ფაქტორი მუშაობს. ექსპრემიერმა განაცხადა, რომ ეს პარტია ალასანიას მხარდაჭერას ვერ მალავს. მანამდე კი რესპუბლიკელები ამბობდნენ, კოალიციიდან გასვლაზე მიგვითითესო. ყველაფერი ეს ვადამდელ არჩევნებთან კავშირშია?

— პირდაპირ კავშირშია, რადგან მათი წასვლით კოალიციაში ადგილები გამოთავისუფლდება, რესპუბლიკური მანდატები ცარიელი რჩება — კოალიციის შიგნით აწყობთ, რომ რესპუბლიკელებმა კოალიცია დატოვონ, რადგან მზის ქვეშ მეტი ადგილი ექნებათ. თავად ამ პარტიას კი ეს არ აწყობს და, რა თქმა უნდა, არც წავა. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერჯერობით, „ოცნებაში“ ყოფნა სამარცხვინო არ არის, თან წასვლისთვის არც რეალური მიზეზი აქვთ. რესპუბლიკელები ის ხალხი არაა, ვინც პარლამენტში თუ ვერ შევა, ვენებს გადაიჭრის. ზოგადად, ამ თემას ასე იოლად არ ვუყურებ — გექნება 5%, შეხვალ პარლამენტში და მერე? თავის დროზე სწორედ ეს პრობლემა მქონდა ამ პარტიასთან — სწორ პროგნოზს კი ვაკეთებდით, მაგრამ ქვეყანა ინგრეოდა და ამის გასაჩერებლად მხოლოდ პროგნოზები არასაკმარისი იყო. თუ პოლიტიკაში ხარ, იმისთვის უნდა იბრძოლო, რომ საქმე გააკეთო. რაც შეეხება ყოფილ პრემიერს, ჩემი აზრით, ის ნიადაგს ამზადებს.

— აქცენტი ნაციონალებიდან „ოცნებაზე“ გადმოვიდა — საკადრო წმენდა მერიაში, საკუთარი გუნდის მაღალჩინოსნების დასჯა... ივანიშვილი ნიადაგს რისთვის ამზადებს?

— ივანიშვილი ზოგადად ქმნის ფონს — თუ ხვალ რესპუბლიკელების გაშვება დასჭირდება, ამისთვის ნიადაგი უკვე მზად ექნება. თუ არ დასჭირდება, არც გაუშვებს. ახლა ეს პარტია მოლოდინის რეჟიმშია, თუმცა ეს ის ხალხი არაა, რომელიც ივანიშვილს ყველაფერზე თავს დაუქნევს. შესაძლოა, ბიძინას კამათი უყვარს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მისი გამარჯვებით მთავრდება. შესაძლოა, რესპუბლიკელებთან ურთიერთობა მისთვის მთლად კომფორტული არ იყოს. ამიტომ წინასაარჩევნო გეგმები, შესაძლოა, ამ პარტიის გარეშე ჰქონდეს.

— რამდენიმე დღის წინ, აშშ-ს ელჩმა კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები მოიკითხა და ვიღაცებმა კუდი გამოაბეს, აშშ არჩევნებს გვინიშნავსო. ეს რა მინიშნებაა?

— რაც თავი მახსოვს, ამ ქვეყანაში ვიღაც სულ ცდილობდა, სათქმელი საკუთარი პირით არ ეთქვა. ადრე ამბობდნენ, მოსკოვი ითხოვს და რა ვქნათო, ახლა თითს ყველაფერზე აშშ-სა და დასავლეთისკენ იშვერენ. ნორლანდმა თუ არ თქვა, კოდექსი რომ არ ვარგა, ეს ახალი ამბავია? არჩევნები რომ უნდა ჩატარდეს, ესეც ვიცით და ეს მოვლენა წელს, შემოდგომაზე მოხდება თუ გაისად, დრო მაინც ცოტაა, საარჩევნო გარემოს ცვლილებები კი ისედაც საჭიროა. პროცესი სწორედ ვადამდელი არჩევნებისკენ მიდის — არსებული პარლამენტი მოსახლეობის განწყობას აღარ ასახავს, ხელისუფლებას ხალხისგან ნდობის ახალი მანდატე სჭირდება, პოლიტიკური სპექტრიც უნდა დასტაბილურდეს და ნაციონალებისა და „ოცნების“ გარდა, პარლამენტში 2-3 სხვა პარტიაც უნდა შევიდეს. ასე თუ გაგრძელდა, 2016 წელს გაცილებით მძიმე ვითარება იქნება — ფაქტობრივად, ქაოსამდე მივალთ, ალბათ, მოვლენები 1999 წლის მსგავსად განვითარდება. მაშინ ერთმანეთს ორი ძალა — აბაშიძე და მოქალაქეთა კავშირი ებრძოდა, მაგრამ მაშინ არჩევნები ხომ არ ჩატარებულა? მეტიც, 2016-ში ხელისუფლება შესაძლოა, გაყალბებაზე წავიდეს. ამ წლის შემოდგომაზე, თუ კოალიცია არ დაიშლება, მეტი შანსია, „ოცნებამ“ უმრავლესობა გაყალბების გარეშე შეინარჩუნოს. 2016-ში ეს ძალიან საეჭვო იქნება, ამიტომ კოალიცია წავა გაყალბებაზე, რასაც დიდი ალბათობით, სახალხო მღელვარებაც მოჰყვება. გარდა ამისა, დადგება საკითხი, რომ ივანიშვილი ან ღიად დაბრუნდეს პოლიტიკურ ასპარეზზე ან საერთოდ ჩამოეხსნას ხელისუფლებას. მისი „გვერდიდან მხარდაჭერა“ კოალიციას ბევრს ვერაფერს მატებს, ამიტომ ვადამდელი არჩევნები მას პოლიტიკაში ან დააბრუნებს, ან პოლიტიკიდან საბოლოოდ გაიყვანს. ჩემი აზრით, სჯობს, დაბრუნდეს, რადგან, სამწუხაროდ, ისევ ყველაზე წონადი ფიგურაა, ამიტომაც მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა პროცესებზე. ალბათ, ბარიერს ირმა ინაშვილი და ნინო ბურჯანაძეც გადალახავენ, აბა, ამ ხალხს ხომ ვერ გავაქრობთ, თან მხარდამჭერებიც ჰყავთ და სჯობს, პარლამენტში იყვნენ, ვიდრე ქუჩაში და ხალხის უარყოფითი განწყობაც იზრდებოდეს. მით უმეტეს, ჩვენს გარშემო ვითარება ისედაც გართულდა.

— გარშემო გართულებულ ვითარებაში ლავროვის განცხადება-მუქარას გულისხმობთ, თუ ნატო-სკენ წახვალთ, გადაგივლითო?

— ჯერ ერთი, ნატო-სა და დასავლეთისკენ სვლა თუ გვინდა, ქვეყანა უნდა დავალაგოთ, ნამდვილი დემოკრატია ავაშენოთ და მერე ჩავთვალოთ, რომ ნატო-სკენ მართლა მივდივართ და რუსეთიც მოშორებული გვყავს, თუმცა ასეთი ქვეყანა რომ ააშენო, ფულს ვერ გააკეთებ, ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებ, არჩევნებს ვერ გააყალბებ და ა.შ. ნორლანდის განცხადებებიც აქეთაა მიმართული და არა — იმისკენ, ჩავატაროთ თუ არა ვადამდელი არჩევნები. რაც შეეხება ქართულ-უკრაინულ ურთიერთობას, ამ ვითარებას ცივი გონებით უნდა შევხედოთ. პოროშენკოს აძლევს თუ არა ხელს სააკაშვილისა და მისი გუნდის უკრაინაში წაყვანა? — რა თქმა უნდა, აძლევს. ჩვენ კი ვიცით, ეს გუნდი რას წარმოადგენს, მაგრამ უკრაინაში არ იციან. ხალხს რომ ესმის, საქართველოში „გაი“ ფულს არ იღებსო, გადარეულია. პოროშენკოს ეს ხალხიც თავისი ზურგის გასამაგრებლად და ხალხის გასაჩუმებლად მიჰყავს, რათა დაარწმუნოს, რომ რეფორმებს მართლა ატარებს. ეს ვითარება იმას მაგონებს, ჩვენთან პოლონეთის ექსპრემიერი ბალცეროვიჩი რომ ჩამოიყვანეს, ეკონომიკას შოკური თერაპია უნდა ჩაუტაროსო. ყველაფერი ეს მაშინაც პიარი იყო და უკრაინაშიც იგივე ხდება. თავად ნაციონალებს უკრაინაში მხოლოდ ფული არ უნდათ, იმდენი ფული აქვთ, ივანიშვილს არ დაესიზმრება. შესაძლოა, ჩვენს თვალში პოლიტიკური რეანიმაცია სურთ, ნახეთ, როგორ ვეხმარებით უკრაინასო. ისიც საკითხავია, ეს ხალხი რომ მიჰყავს პოროშენკოს, დემოკრატია უნდა უკრაინაში თუ ავტორიტარული მმართველობა?! გარდა ამისა, თუ მათი გაკეთებული საქმე არ მოეწონათ, მოშორება ადვილია — ისინი ხომ უკრაინაში „ჩანერგილები“ არაინ. პარალელს თუ გავავლებთ, დაახლოებით, იმ ფუნქციას ასრულებენ, რასაც ჩვენთან აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებული ყივჩაღები აკეთებდნენ ანუ ეს პოროშენკოსთვის წაუგებელი თამაშია, მაგრამ თავი ისე გასჭირვებია, საქართველოში ვის რა ეწყინება, საერთოდ არ აინტერესებს.

— ბატონო ვახტანგ, მთავრობაში საკადრო ცვლილებებს ისევ ელით?

— მგონია, რომ მთავრობის ამ შემადგენლობას რამდენიმე თვეც უნდა „გააქაჩინონ“, რადგან ახლის მოყვანა დიდად მაინც ვერაფერს შეცვლის. ფაქტია, რაღაც ცუდი პროცესი დაიწყო, რომელიც ნიშნულამდე უნდა მივიდეს, მერე შეიქმნება ხელოვნური კრიზისი, შეიცვლება მინისტრი, დადგება ახალი მთავრობის ნდობის საკითხი. პარლამენტი ახალ კაბინეტს ჩააგდებს და პრეზიდენტი ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს. ისე, მთავრობის შეცვლაც თავისუფალ ადგილებს ნიშნავს და ეს პოლიტიკურ სპექტრსაც აწყობს. აქ უკვე ნამდვილად არ ექნება მნიშვნელობა, ვინ იქნება ახალი მთავრობის მეთაური — ირაკლი თუ ვინმე სხვა. მთავარია, ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს და პარლამენტმა ნდობის რეალური მანდატი მიიღოს.

ვერსიანიუსი

პრემიერის თქმით, აჭარაში ვითარება კონტროლს ექვემდებარება

პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი აჭარის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ვითარება კონტროლს ექვემდებარება, თუმცა განმარტავს, რომ ხელისუფლებას იქ მიმდინარე პროცესებზე მკაცრი რეაგირება ექნება.

„სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი გუნდის ყოფილი წევრების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია. ისინი ნაციონალურ მოძრაობას გაურიგდნენ, მაგრამ იქ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სიტუაცია კონტროლის ქვეშაა. ის, რომ ორმა, სამმა ასე ვთქვათ დეპუტატმა მოღალატეობრივად დატოვა ჩვენი გუნდი და გაურიგდა ნაციონალურ მოძრაობას, ეს მათი არჩევანია, ჩვენ ამაზე ძალიან მკაცრი რეაგირება გვექნება“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

დავით საგანელიძე: „ოცნების“ საპარლამენტო სიის შედგენისას ხარვეზები იქნა დაშვებული“

უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის შეფასებით, თავის დროზე კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის შედგენისას ხარვეზები იქნა დაშვებული.

როგორც საგანელიძემ კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული თუნდაც იმაში ჩანს, რომ ადამიანთა ნაწილი, ვინც პარლამენტში „ოცნების“ პრინციპებით შევიდა, დღეს კოალიციის პირველი მოწინააღმდეგეა.

„აჭარის უმაღლეს საბჭოში განვითარებული მოვლენების მიზეზი არის ის, რომ გარკვეული პირები შერჩეულნი და რეკომენდებულნი იყვნენ იმ პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც დღეს აღარ არიან პარლამენტის უმრავლესობაში. შესაბამისად, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, პირადი ურთიერთობები, გავლენა, პირადი დამოკიდებულება გადაიტანონ საბჭოს მუშაობაში. ბევრი ცდილობს, იქ მართოს პროცესები, თუმცა კონკრეტულ სახელებს და გვარებს არ დავასახელებ. საპარლამენტო სიის შედგენის დროს იყო თავიდან ბევრი ხარვეზი დაშვებული, რაც გამოჩნდა კიდეც. ის ადამიანები, ვინც „ოცნების“ პრინციპით შევიდნენ პარლამენტში, დღეს „ოცნების“ პირველი მოწინააღმდეგეები არიან. შესაბამისად, ამან არა მარტო პარლამენტში, არამედ რეგიონებშიც ჰპოვა ასახვა“, — აღნიშნა დავით საგანელიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

„ეკა ბესელიამ პრესას მიმართა, გვენეტაძემ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო!“

რა კავშირი ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან, შეუთავაზებიათ თუ არა ქრთამი და რატომ შეეცოდა ინგილისელ მოსამართლეს — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის პორტრეტი სხვა რაკურსით

ვანო პავლიშვილი

„ეკა ბესელიამ, ჩემს ერთ-ერთ საქმეზე, დარბაზიდან გამოვიდა თუ არა, პრესას მიმართა და ჩემს ყურსაც მოხვდა, დღეს გვენეტაძემ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო“, — მითხრა ლამის ერთსაათიანი საუბრის დასასრულს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა. სხვათა შორის, ნინო გვენეტაძეს არც ის დაუმალავს, რომ, თუკი ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავქალი მხარს არ დაუჭერს, „ადამიანურად ეწყინება“. მოკლედ, გახდება თუ არა ათი წლის წინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატიდან სკანდალით გაშვებული ქალბატონი უზენაესის თავმჯდომარე, დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, „ვერსია“ ნინო გვენეტაძის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს გთავაზობთ... ქალბატონ ნინოს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ანუ გაუ-ს ერთ-ერთ აუდიტორიაში შევხვდი. თანამოსაუბრემ ამიხსნა, რომ 2007 წლიდან გაუ-ში ლექციებს კითხულობს, სამართლის სკოლაში კი სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელია.

— გამოდის, კოლეგები ვართ — თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მეც ლექციებს ვკითხულობ და ზუსტად ვიცი, საჯარო სამსახურში წასვლის სურვილი არასოდეს გამიჩნდება. ქალბატონო ნინო, მეტ-ნაკლებად, მშვიდად ცხოვრობთ, თან ყველაფერი, რაც გადაგხდათ, უკან დარჩა და დიდ პოლიტიკურ ბატალიებში ჩართვა რატომღა გადაწყვიტეთ?

— მთავარი ისაა, რომ უკან არ დარჩენილა.

— ესე იგი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობით ღირსებას აღიდგენთ?

— არა... დღემდე სამართლებრივ ბრძოლაში ვარ, რომელსაც დროც სჭირდება, ენერგიაცა და ნებისყოფაც. ყველა ჭეშმარიტი იურისტი ფიქრობს, რომ თავისი ბრძოლის შედეგი უნდა ნახოს. ჩემი მოტივაციაც სწორედ ესაა, თუმცა ბრძოლის მიზანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა კი არა, ჩემს უფლებებში აღდგენაა.

— უფლებების აღდგენა ვიცი, მაგრამ უფლებებში აღდგენა რაღას ნიშნავს?

— 1999-დან 2005 წლამდე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მოსამართლე ვიყავი და, რადგან ჩავთვალეთ, რომ ჩვენი გათავისუფლება უკანონო იყო, დღემდე, სამართლებრივი გზით, ამ ბრძოლაში ვარ.

— ამას წინათ, ყური დისციპლინური კომისიის ყოფილი წევრის, ნინო კალანდაძის განცხადებას მოვკარი, გვენეტაძესა და ტურავასთან დაკავშირებით, სტრასბურგმა ჩვენი გადაწყვეტილება არ გააბათილაო. თუ მართლები ხართ, სტრასბურგმა ჩვენებური თემიდას გადაწყვეტილების ანულირება რატომ არ მოახდინა. რა, ევროსასამართლოშიც უსამართლობაა?

— ასე ვერ ვიტყვი. იქ გადატვირთულობაა და ჩვენი საქმე პერსპექტიულად განხილვის რეჟიმშია, თუმცა არ შემიძლია, ევროსასამართლოს ნაცვლად გითხრათ, საქმის განხილვა რატომ გაჭიანურდა. არადა, ამ პროცესს დიდი მოთმინებით ველი. სტრასბურგი, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ის მაღალი ინსტანცია და დონეა, რომელზეც კრიტიკული ნამდვილად ვერ ვიქნები.

— ასეა თუ ისე, ქალბატონო ნინო, ბრალდებები არ მოგხსნიათ...

— შევეცდები, ავხსნა: დისციპლინური სამართალწარმოება, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ მიმდინარეობდა, იმ კანონს ემყარებოდა, რომელიც უკვე შეცვლილია ანუ კანონის უხეში დარღვევით, მოსამართლის დისციპლინური დევნა დღეს კანონით აკრძალულია. ეს ცვლილებები საერთო სასამართლოების ორგანულ და დისციპლინური სამართალწარმოების კანონებში პერმანენტულად ხორციელდებოდა. სხვათა შორის, ეს ცვლილებებიც ჩვენი ბრძოლის შედეგია — ამ საკითხთან დაკავშირებით, 2007 წელს მომზადებული ვენეციის კომისიის დასკვნა რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებით, მართლმსაჯულებას, ამ კუთხით კანონმდებლობა დახვეწოს. საერთო სასამართლოების კანონში ბოლო წერტილი კი 2014 წლის პირველი აგვისტოს ცვლილებაა, რაც სამართლებრივ იურიდიულ საფუძველს გვაძლევს, მართლმსაჯულების სისტემაში ხელახალი პრეტენზია და პოზიცია გვქონდეს.

— მოკლედ, ამ იურიდიული ტექსტიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ დღეს ღირსებაშელახული ხართ...

— უნდა დამიკონკრეტოთ, რას გულისხმობთ.

— გათავისუფლების გამო, ღირსება არ შეგელახათ?

— უფლებადარღვეული ვარ!

— უზენაესი სასამართლოს უფლებადარღვეული თავმჯდომარე სხვების უფლებებს როგორ დაიცავს?

— დიდი შემართებით დავიცავ და ეს, ყველაზე მეტად, სასამართლო კორპუსს შეეხება!

— ახალი პროვოკაციებისა და ინტრიგებისთვის მზად ხართ?

— პროვოკაციებისა და ინტრიგებისა რა გითხრათ, მაგრამ კრიტიკისა და წინააღმდეგობისთვის, ბუნებრივია, მზად ვარ! წინდახედულობის მაღალი ხარისხი უნდა გამაჩნდეს და ამ პასუხისმგებლობას, რასაკვირველია, ვითავისებ!

— ცრუმორწმუნე ხართ?

— არა!

— აბა, 2013 წელს, Facebook-ზე „დოლარის ხის“ ფოტო რატომ გააზიარეთ?

— აგიხსნით: ჩემი 11 წლის გოგონა, რომელიც ძალიან აქტიურია, ხშირად ჩემს Facebook-შია და ამიტომ, ამ დასკვნის გაკეთება, ვფიქრობ, ცოტა არასწორია, თუმცა თქვენი გადასაწყვეტია.

— კი არ გადავწყვიტე, უბრალოდ, დავინტერესდი, ცრუმორწმუნე ხომ არ ხართ და, ვთქვათ, შავი კატისა და მსგავსი რაღაცების გჯერათ თუ არა...

— არა, რასაკვირველია...

— საერთოდ, Facebook თქვენს ცხოვრებაში, მგონი, ცუდ როლს ასრულებს — ბიძინა ივანიშვილსაც მადლობა, როგორც განმარტეთ, თქვენმა გოგონამ გადაუხადა. სხვათა შორის, სოციალურ ქსელში თქვენი ახალი გვერდია, სადაც თანამდებობად უკვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობაა მითითებული. ესეც მექანიკური შეცდომაა თუ..?

— სიმართლე გითხრათ, ეს გვერდი არ მინახავს. ეს, თუ უგულისყურობაში არ ჩამითვლით, უფრო მოუცლელობის ბრალია...

— ...ქალბატონო ნინო, მზად ხართ, „ქართულ ოცნებაში“ განხეთქილების შემტანი გახდეთ?

— ასეთი სურვილი არ გამაჩნია, თუმცა, თუ რაღაც პოლიტიკური პროცესები ჩემს კანდიდატურას დაუკავშირდება, ეს ჩემი მხოლოდ წუხილი იქნება. პოზიციების გასამყარებლად და ყველა პროცედურის გასავლელად მზად ვარ, თუმცა მინდა, პოლიტიკური პროცესებისგან აბსოლუტურად მოშორებული ვიყო.

— თუკი დაინახეთ, რომ „ოცნება“, რომელსაც საზოგადოების ნაწილი მხსნელად მიიჩნევს, თქვენს გამო დაშლის წინაშე დადგა, კანდიდატურას ხომ არ მოხსნით?

— არა, ასეთი გათვლა არ მაქვს!

— გქონდათ იმედი, რომ 28 კანდიდატიდან პრეზიდენტი თქვენ გამოგარჩევდათ?

— სხვათა შორის, იმ გადაწყვეტილებამდე — არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ძალიან პატივსაცემ ადამიანებს ჩემი კანდიდატურა წარედგინათ — მძიმედ მივედი.

— თუმცა, თქვენ კანდიდატურაზე კულუარებში 2012 წლიდან მოყოლებული ლაპარაკობენ...

— იცით, კულუარები სულ არის. არსებობს ჟურნალისტური ხედვებიც. გეთანხმებით, 2012 წელს პრესაში ასეთი წერილები დაიბეჭდა, მაგრამ ჩემი უფლებებში აღდგენა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე ნომინირებას არ ნიშნავდა. ამიტომ, ჩემს კოლეგებთან, განსაკუთრებით ქალბატონ ლია მუხაშავრიასთან სერიოზული საუბარი მქონდა და ისეთი კარგი არგუმენტები გამაცნო, გადავწყვიტე, ეს ნაბიჯი გადამედგა. როცა გადაწყვეტილებას იღებ, ბუნებრივია, პირად მონახაზებში გარკვეულ იმედს ეძებ...

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მართლა რომ გახდეთ, კვლავ ასეთი ხელმისაწვდომი იქნებით? ხომ დამიმახსოვრებთ?

— დამახსოვრება არ გინდათ, შეგიძლია, ძველი თაობის ნებისმიერ ჟურნალისტს ჰკითხოთ...

— ქალბატონო ნინო, რა კარგია, თუკი პატარა გგონივართ!

— ჩემი მოსამართლეობის დროს, მედიასთან ურთიერთობის ჯგუფი გვქონდა და თუ დროის პრობლემა არ იყო, არავის დავმალვივარ!

— უზენაესის თავმჯდომარე რომ გახდეთ, სააკაშვილის მიმართ ერთგვარი შურისძიებისა თუ ნიშნისმოგების გრძნობა ხომ არ გაგიჩნდებათ?

— უფლება გაქვთ, ნებისმიერი კითხვა დასვათ, მაგრამ ამ საკითხს ამ ჭრილში არ ვუყურებ. წელანაც გითხარით და მინდა, კიდევ კარგად ავხსნა: ვინც ჩემი ბუნება და ხასიათი იცის, ეს ნამდვილად გამორიცხულია. ჩემი უფლებების დასაცავად სამართლებრივი გზით ვიბრძოლე და, კანდიდატობაც რომ არ ყოფილიყო, ბრძოლას ისევ გავაგრძელებდი. ისე, აქედან, დიდი პასუხისმგებლობის გარდა, არაფერს ვიღებ.

— ქალბატონო ნინო, კომპლიმენტად არ ჩამითვალოთ და, აშკარად პოზიტიურ შთაბეჭდილებას ტოვებთ... შინაც ასეთი მშვიდი ხართ? საერთოდ, მოდით, თქვენს ოჯახზე მიამბეთ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. კარიერად იმად ღირს, რომ შვილი გარკვეულწილად მიატოვოთ?

— ეს პრობლემა დღესაც მაქვს — ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ძალიან დიდ დროს ვატარებ, სადაც, ლექციების გარდა, ადმინისტრაციული ფუნქციებიც მაქვს და შეგიძლიათ, დაცვის თანამშრომლებს ჰკითხოთ, შაბათ-კვირასაც კი აქ ვარ. გარდა ამისა, სამეცნიერო მუშაობასაც ვეწევი — ურთიერთობა საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან მაქვს და უამრავ კვლევაშიც ვარ ჩართული. ასე რომ, ეს რეჟიმი ბავშვმაც გაითავისა და ძალიან ხშირად, შაბათ-კვირას, ჩემს სამუშაო ოთახშია, თუმცა უზენაეს სასამართლოში ამის შესაძლებლობა აღარ ექნება.

— თქვენს შვილს, მის შინაგან სამყაროს იცნობთ?

— იცით, რა?! — ეს ნაკლი მაქვს, რადგან სამეცნიერო მუშაობა, სტუდენტებთან ურთიერთობა ძალიან დიდ დროს, ენერგიასა და პასუხისმგებლობას ითხოვს. ბუნებრივია, ამ ნაკლს ვგრძნობ, მაგრამ არ ვთვლი, რომ ჩემი სხვა პოზიციაზე გადანაცვლება ამ ნაკლს გაართულებს, რადგან ჩემი გოგონა უკვე 11 წლისაა და ამ ფორმატში ურთიერთობას შეეჩვია.

— ვინ ზრდის?

— მე. როცა თიკო პატარა იყო, მაშინ მოსამართლე ვიყავი და ჩემი და მეხმარებოდა, მაგრამ ახლა ისიც მუშაობს და ბავშვი ძალიან დამოუკიდებელია. ამ „უბედურების“ პლუსად ის მაინც მიმაჩნია, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება ისწავლა.

— ძიძა არ გყავთ?

— ამის ფუფუნება არასოდეს მქონია.

— როგორც მივხვდი, მარტოხელა დედა ხართ, არა?

— დიახ.

— რატომ ხდება, რომ საქმიან ქალებს პირადი ცხოვრება წარუმატებელი აქვთ?

— ვერ ვიტყვი, რომ წარმატებული ქალები ხშირად მარტოხელები არიან... უბრალოდ, ასე მოხდა...

— იურისტობა რატომ გადაწყვიტეთ?

— კარგი კითხვაა... ჩემი პირველი გატაცება მედიცინა იყო და ვერ გეტყვით, რომ იურისტობისკენ რამე ისეთმა ფაქტორმა მიბიძგა, თუმცა შინაგანად სამართლიანობის განცდა ვარ და გადაწყვეტილება ამან უფრო მიმაღებინა, თუმცა პირველი და მეორე წელი წარმატებული არ ყოფილა — მაშინ იურიდიული პროფესიის დაუფლება რთული იყო და ჟინიც მქონდა, ეს როგორ ვერ უნდა შევძლო-მეთქი... ის, რომ სისხლის სამართლის სფეროში უნდა მემუშავა, ჩვენი სასიქადულო პროფესორის, ბატონ ოთარ გამყრელიძის დამსახურებაა, თუმცა პროკურორობასა და მოსამართლეობაზე არასოდეს მიოცნებია, ჩემი თავი უფრო მეცნიერებაში ან უფლებადამცველის რანგში წარმომედგინა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლა ასპირანტურაში განვაგრძე.

— ამბობთ, შინაგანად სამართლიანობა ვარო, მაგრამ დამეთანხმებით, სამართლიანობა პირობითი ცნებაა და თავისი სიმართლე მკვლელსაც აქვს...

— ეს სამართალში ღრმად დამუშავებული საკითხია...

— გიჩხუბიათ?

— კი...

— ესე იგი, სამართალს არღვევთ?

— რასაკვირველია. ასეთი გადაცდომები ყველაშია, თან ემოციური ვარ.

— წყევლაც იცით?

— ზოგჯერ... ურთიერთობაში ზოგჯერ საკმაოდ უხეში და თავისუფალიც ვარ...

— ისე, დავაკვირდი — უპირატესობას ჩაცმის მკაცრ სტილს ანიჭებთ...

— ჩემი პროფესიული ეთიკა მკაცრ სტანდარტს ითხოვს და ვცდილობ, საზოგადოებისთვის ყოველთვის დამაკმაყოფილებელი ვიყო და არა — გამაღიზიანებელი.

— ტრადიციული ხართ?

— კი.

— „რესპუბლიკური“ ბეგრაუნდი გაქვთ. ვიღაცები ამბობენ, რომ რესპუბლიკელები ეროვნულობასა და ტრადიციებს ებრძვიან...

— ასეთი ხედვა არ მაქვს...

— რას ვერ გააკეთებთ?

— უხერხულია, თავს ვიქებ, მაგრამ ღალატი არ შემიძლია. სამაგიეროდ, მეგობრობა, გატანა და დახმარება შემიძლია!

— მაშასადამე, თქვენი შვილის მამამ გიღალატათ?

— ასეთ საკითხებზე არ გიპასუხებთ... ამ თემას არ ვეხები...

— კომპლექსები გაქვთ?

— კომპლექსს ვერ ვიტყვი, მაგრამ გარკვეული ადამიანური სისუსტეები მაქვს.

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის რანგში ამ სისუსტეებს დაძლევთ?

— მოსამართლეობის ექვსწლიანი გამოცდილება მაქვს — როცა მართლმსაჯულებას ვახორციელებდი, ძალიან ბევრი

ემოციისა და პრობლემის წინაშე ვმდგარვარ... ჩვეულებრივი ადამიანი ვარ...

— ტენდენციური არც მიხეილ სააკაშვილის საქმის განხილვისას იქნებით?

— არა!

— ეს ხომ ძალიან გაგიჭირდებათ?!

— დიახ, გეთანხმებით, მაგრამ ხომ გითხარით, რომ ასეთი პრობლემების წინაშე ვმდგარვარ? მაშინ პრინციპებს არ ვუღალატე და ვაღიარებ: ამიტომაც დავისაჯე.

— ასეთს რას გთხოვდნენ, რომ პრინციპებს არ უღალატეთ?

— მართლმსაჯულების პოლიტიკის შეცვლას... მიკვირს, როცა ჩემზე ამბობენ, შურისმაძიებელი, მიკერძოებული და გაბოროტებული იქნებაო. ღვთის მადლით, ჩემში მსგავსი არაფერი არსებობს.

— ნიშნს არც იმ კოლეგებს მოუგებთ, ვინც არ გითანაგრძნობდათ?

— რა უფლება მაქვს, მათ მიმართ ანგარიშსწორების მექანიზმები ჩავრთო? ადამიანურად, გეთანხმებით, მათთან ურთიერთობა რთული იქნება, მაგრამ ნებისყოფა უნდა მეყოს და ამ ურთიერთობებისთვის საკმაოდ წინდახედულადაც ვემზადები — ნებისმიერი მიმიკა, მიხვრა-მოხვრა...

— არსებობს მოსაზრება, რომ თქვენს კანდიდატურას მხარს ეკა ბესელია არ დაუჭერს. არადა, ერთხანობას თანამებრძოლები იყავით. ბესელიამ მხარი რომ არ დაგიჭიროთ, არ გეწყინებათ?

— ადამიანურად, როგორ არ მეწყინება, მაგრამ შევეცდები, ეს კორექტულად მივიღო!

— ქალბატონო ნინო, გულწრფელად მითხარით: მოსამართლეობისას ქრთამი შემოუთავაზებიათ?

— არა, თუმცა ზეწოლის შემთხვევა ყოფილა.

— ანუ?

— ადამიანები გვთხოვდნენ, გვეუბნებოდნენ, ავტორიტეტულ პიროვნებებს გვიგზავნიდნენ, ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთო.

— ეს ნაციონალების დროს ხდებოდა?

— დიახ... დღეს ნაციონალები ამბობენ, შევარდნაძის პერიოდის მოსამართლეაო. იმ დროს კორუფცია, მართლაც, არსებობდა, მაგრამ აქ ერთი უხერხულობაა — იმხანად, სასამართლო რეფორმა დაიწყო და ამ რეფორმის გამკეთებელმა ადამიანებმა, როგორც სამართლის გამოჩენილი სპეციალისტი, მოსამართლედ წარმადგინეს და მხარიც დამიჭირეს.

— მოსამართლედ, უშუალოდ, სააკაშვილმა წარგადგინათ?

— დიახ.

— ესე იგი, კარგი ურთიერთობა გქონდათ?

— ნამდვილად.

— აბა, თქვენს შორის რა მოხდა?

— არაფერი. უბრალოდ, 2004-2005 წლებში ჩვენზე გარკვეული ზეწოლა და მინიშნებები დაიწყო, რომ სახელმწიფოებრივად ვერ ვაზროვნებდით. მოკლედ, იმ კორუმპირებულ გარემოშიც მქონდა შანსი, ვყოფილიყავი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რაც რთული იყო.

— მოსამართლე და, საერთოდ, იურისტი გარკვეულწილად ფსიქოლოგიც უნდა იყოს...

— რა თქმა უნდა...

— აბა, სააკაშვილის ბუნება რატომ ვერ გამოიცანით?

— ეს იმდენად ხანმოკლე ურთიერთობა იყო, დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვების შანსი არ მქონია.

— მხოლოდ კარიერაზე ფიქრობდით?

— არა, საქმეზე ვფიქრობდი — უკვე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვიყავი, იუსტიციის სამინისტროში საკანონმდებლო მუშაობის გამოცდილებაც მქონდა. სხვათა შორის, მაშინ, როცა ეს შეთავაზება მივიღე და მაშინაც, როცა ფიცს ვდებდი, სიცხე მქონდა. იცით, სიცხემ კიდევ როდის ამიწია?

— მოკლე ვადით ლონდონში, სტაჟირებაზე გამგზავნეს და ბედნიერება მხვდა, სააპელაციო სასამართლოში ძალიან გამოცდილ მოსამართლესთან მემუშავა, რომელმაც პირველივე შეხვედრაზე ასაკი და რანგი მკითხა, როცა ვუთხარი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ვიყავი, ძალიან შევეცოდე.

— რატომ?

— ასაკის გამო და ძალიან კოლეგიალურად მითხრა, რას გერჩოდნენ ან შენს თავს რას ერჩოდიო. პროცესებში რომ ვმონაწილეობდი, ეს სიტყვები სულ მახსოვდა. საერთოდ, მოსამართლეობა ის დონე და ვალდებულებაა, რომელიც გარკვეულ ასაკსა და ცხოვრებისეულ სიბრძნესაც საჭიროებს.

— ინგლისელი მოსამართლის შეკითხვას მეც დაგისვამთ: თქვენს თავს რას ერჩით? უზენაეს სასამართლო დემოკრატიის მთავარი გარანტია. შეგწევთ ძალა, დემოკრატია დაიცვათ?

— არც მაქვს უფლება, სხვა პასუხი გაგცეთ — ყველაფერს შევეცდები! საკუთარ თავში ძალებს ვეძებ და თვითკრიტიკულიც ვარ!

— ქალბატონო ნინო, ორი წლის წინ, ყბადაღებული პოლიტპატიმრების სიის შედგენაში მონაწილეობდით. დრო რომ გავა, ხომ არ ინანებთ, რომ მაგალითად, ჩახალიანი ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გამოუშვით?

— ვანო, ისეთ კარგ კითხვებს მისვამთ და იქნებ, ახსნა შევძლო: არსებობდა სამუშაო ჯგუფი და გვთხოვეს, ჩვენი პროფესიული უნარ-ჩვევებითა და გამოცდილებით იმ პროცესს დავხმარებოდით, რომელიც პარლამენტში მიმდინარეობდა. ჩემი მუშაობა ასეთი ფორმატით შემოიფარგლებოდა — ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელიც სტატუსის განსაზღვრებისთვის გარკვეულ კრიტერიუმებს ძალიან მოკლედ ალაგებდა და, ასევე, წარმოდგენილი საქმეები, რომელთა გადახევითაც რეკომენდაცია უნდა გაგვეცა. ამ ნაწილში ჯერ არაფერი მინანია, მით უმეტეს, არც გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ვიყავი და არც — პოლიტიკურად ანგაჟირებული.

— რეკომენდაცია ყველას მიეცით?

— არა!

— ჩახალიანს რეკომენდაცია რატომ მიეცით?

— ჩახალიანზე არ ვილაპარაკებ, რადგან ეს საქმე მომავალში შეიძლება, სასამართლოში მოვიდეს და ეთიკური უფლება არ მაქვს, კომენტარი გავაკეთო.

— სასამართლოში რატომ უნდა მივიდეს?

— პოლიტპატიმრის სტატუსი სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას არ ნიშნავს. სასამართლო განაჩენის შეცვლა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია!

— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ოცნების“ მხარდამჭერი იყავით?

— დიახ.

— თვლით, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ეკა ბესელიას თქმისა არ იყოს, ქვეყანა ჭირისგან გაათავისუფლა?

— ასეთ შეკითხვებზე პასუხი არ მაქვს.

— პროვოკაციული კითხვაა...

— მესმის და უფლება გაქვთ, კითხვა დასვათ, მაგრამ ასე გიპასუხებთ: ხელისუფლების შესაცვლელად სამართლებრივი გზებითაც ვიბრძოდი და იმ პოლიტიკურ ნაწილსაც არ უარვყოფ, რაც ჩემს ცხოვრებაშია. იმიტომ ვიბრძოდი, რომ წინა სისტემის ნაკლი ვიცოდი და მოწადინებული ვიყავი, ყველაფერი შეცვლილიყო. ხარვეზების დამდგენი კომისიის პროექტებზეც ვმუშაობდი, სამეცნიერო თუ თეორიული ხაზით ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და ამ მხრივ მოძრაობა არ შემიჩერებია. არც საზოგადოება უნდა გაჩერდეს — ყველა იმ მოდელში, რომელიც გადასინჯული მაქვს, საზოგადოების აქტივობა ძალიან მაღალი და იმის გარანტიაა, რომ ეს პროცესი არასწორი მიმართულებით არ წავიდეს ან საერთოდ, უარი არ იყოს ნათქვამი...

— ქალბატონო ნინო, სად — სამართლებრივი ხარვეზები და სად — სამშვენისები, მაგრამ ვატყობ, სამკაულები გიყვართ...

— ზომიერად...

— თქვენი საყურე ოქროა?

— კი... თვალი შუშაა...

— ერთობ არამოდური ტელეფონი გაქვთ. რატომ?

— დღესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით დავდივარ...

— მანქანის მართვა არ იცით?

— ვიცი, მაგრამ ბინის სარემონტო სამუშაოებისთვის ფული დამჭირდა და მანქანა გავყიდე.

— სასამართლოდან გამოშვების შემდეგ, ნაციონალები, სამსახურის შოვნის კუთხით, პრობლემას გიქმნიდნენ?

— აქ გამიმართლა: როცა ჩვენი დევნა დასრულდა და უფლებამოსილება შეგვიწყვიტეს, სალექციო კურსი ჯავახიშვილისა და, რაც უნდა წინააღმდეგობრვი იყო, საქართველოს უნივერსიტეტებში მქონდა, რამაც ის პერიოდი გარკვეულწილად გადამატანინა, თუმცა წელიწადნახევრის შემდეგ, კონკურსის პირობები ვეღარ დავაკმაყოფილეთ და უნივერსიტეტებში ვეღარ შევედი. 2007 წლიდან კი, გაუ-მ ყველა შესაძლებლობა მომცა, ჩემი შესაძლებლობები წარმომეჩინა...

— ნაციონალებს თქვენზე მამხილებელი მასალები არ ჰქონდათ?

— რომ ჰქონოდათ, თავს არ დაზოგავდნენ, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

— ესე იგი, ნაცებისთვის ძალიან საშიში არ იყავით?

— არა... მახსოვს, როცა პარლამენტი უფლებამოსილებას გვიწყვეტდა, ჩემი კენჭისყრაზე ჩავარდა. ორი კვირის შემდეგ კი, სპეციალური მობილიზება გახდა საჭირო, რათა უფლებამოსილება შემწყვეტოდა.

— მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იყო, არა?

— დიახ, თუმცა იმ სხდომას არ თავმჯდომარეობდა.

— დღეს ბურჯანაძესთან როგორ ურთიერთობა გაქვთ?

— ამ ბატალიების შემდეგ, ერთმანეთს ერთ-ერთ მიტინგზე შემთხვევით შევხვდით.

— მიტინგებზეც დადიოდით?

— რასაკვირველია.

— 7 ნოემბერს გცემეს?

— მომდევდნენ, მაგრამ გადავრჩი.

— მარტივი კითხვა და მარტივი პასუხი: ნატო თუ რუსეთი?

— მარტივი პასუხი არ მაქვს!

— რატომ?

— ნატო-სკენ მივილტვი.

— ესე იგი, მოსკოვში 37-მანეთიანი ფრენის ნოსტალგია არ გაქვთ?

— არა.

— რუსეთი ოკუპანტია?

— ოკუპანტია!

— ქალბატონო ნინო, შეიძლება, არ გამანდოთ, მაგრამ პარლამენტში თქვენი ლობისტები ვინ არიან?

— ასეთი ლობისტი არ მყავს — დეპუტატთა უმრავლესობა, ვფიქრობ, კარგად მიცნობს...

— თუ თქვენი კანდიდატურა ჩავარდა, პრეზიდენტს აქვს უფლება, ხელმეორედ წარგადგინოთ?

— არა...

— გამორიცხავთ, რომ ახალ-ახალი კანდიდატის წარდგენა დაუსრულებლად გაგრძელდეს?

— ამას არ ვისურვებ...

— კიდევ ორი კითხვა: იმ კაბინეტში, რომელსაც კოტე კუბლაშვილი დატოვებს, შეხვალთ?

— შევალ.

— მერე, ნაციონალური აურის არ შეგეშინდებათ?

— ნაციონალური აურა რას ნიშნავს? გულწრფელად გეტყვით: ასეთი საკითხებით არ ვიტვირთები, თუმცა გარკვეული უხერხულობა, ალბათ, იქნება.

— რა ვიცი, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაზე პოლიტიკური ბატალიები გაიმართა...

— ის განსხვავებული ფოკუსი იყო. ამ კაბინეტში კი თაობები ისხდნენ, თან მე და კოტე კუბლაშვილი წინა ცხოვრებაში მეგობრები ვიყავით.

— ხომ შეიძლება, ახალ ცხოვრებაში ისევ დამეგობრდეთ?

— ყველაფერი შეიძლება!

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა თქვენს პირად ცხოვრებაში რას შეცვლის?

— არაფერს.

— რას ნიშნავს, არაფერს? — ბოლოს და ბოლოს, ავტო გეყოლებათ, მაღალი ხელფასი და ათწლიანი გარანტირებული სამსახური გექნებათ...

— ახლაც საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებით ვარ წარმოდგენილი. ასე რომ, ეს გადამწყვეტი არაა. რაც შეეხება მანქანას, ეს დროს დაზოგავს, მაგრამ არც მანქანაა დიდი კომფორტი, მაგრამ ჩემი რანგი მესმის და საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვეღარ ვიმოძრავებ...

— ორი დღის წინ, პრემიერყოფილს დაბადების დღე ჰქონდა — 59 წლის გახდა. ხომ არ მიულოცეთ?

— არა.

— ბოლოს, ქალბატონო ნინო, ჟურნალისტი რომ იყოთ, რას მკითხავდით?

— თემები კარგად ამოწურეთ... გავბედავ და წარმატებას გისურვებთ.

— წარმატებები თქვენც არ მოგაკლდეთ!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

20-მდე სამშენებლო კომპანიას მთავრობა 200 მილიონის დავალიანებას აპატიებს?

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობა 2008 წლის აგვისტომდე დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა, დამატებითი ღირებულების გადასახადისა (დღგ) და K2 მოსაკრებლისგან თავისუფლდებიან — მთავრობის ამ ინიციატივას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მალე კანონპროექტის სახეს მისცემს და პარლამენტს განსახილველად წარუდგენს. რამდენი მშენებარე ობიექტია საქართველოში, რა რაოდენობის დავალიანება დაუგროვდათ კომპანიებს სახელმწიფოს მიმართ და რას შეცვლის მთავრობის ახალი ინიციატივა სამშენებლო სექტორში?

საქართველოს პრემიერის შეფასებით, სახელმწიფოს მიმართ დაგროვილი დავალიანებები სამშენებლო კომპანიებს მძიმე ტვირთად აწვება, რაც ამ დარგის განვითარებას აფერხებს. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, საბანკო დაკრედიტების გამკაცრებამ და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის შემცირებამ, სამშენებლო სექტორს სერიოზული ზიანი მიაყენა:

„შედეგად, სახელმწიფოს მიმართ, სამშენებლო კომპანიებს მნიშვნელოვანი ვალდებულებები დაუგროვდათ, რაც მათ დღემდე მძიმე ტვირთად აწვება. ბუნებრივია, ეს ხელს უშლის სამშენებლო სექტორის განვითარებას. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ის სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობაც 2008 წლის აგვისტომდე დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა, სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებებისგან, მათ შორის, დღგ-სა და K2 მოსაკრებლის გადასახადისგან გავათავისუფლოთ“.

პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ ახალი ინიციატივა ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამშენებლო სექტორის გამოცოცხლებასა და ამ დარგის განვითარებას: **„ამ პროექტის არანაკლებ მნიშვნელოვანი ეფექტი, შეჩერებული მშენებლობების დასრულების შედეგად, ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაც იქნება. ამ მიმართულებით, თბილისის მერიასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ“.**

თბილისის მერიის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ დედაქალაქის მთავრობა მზადაა, ის ობიექტები, რომელთა მშენებლობაც 2008 წლის აგვისტომდე დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა, კოეფიციენტის მოსაკრებლისგან გაათავისუფლოს და მშენებლობის ვადა გაუგრძელოს. თბილისის მერის, **დავით ნარმანიას** განცხადებით, აგვისტოს ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი უარყოფითად აისახა სამშენებლო და დეველოპერულ სექტორზე, რის გამოც ბევრი მშენებარე ობიექტი გაჩერდა:

„მშენებლობები, უმეტესწილად, დედაქალაქში შეჩერდა, ამიტომ სამშენებლო კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია წახალისება და სხვადასხვა სტიმულირების ინსტრუმენტები, რათა შეჩერებული მშენებლობები დაასრულონ. შესაბამისად, საგადასახადო სტიმულირებასთან ერთად, K2 კოეფიციენტის მოსაკრებლისგან გათავისუფლება და მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაც აუცილებელია. ამით სამშენებლო კომპანიებს ფინანსური რესურსების გამოთავისუფლების დამატებითი შესაძლებლობა მიეცემათ, რომლებიც ამ თანხას მშენებლობის პროცესში ჩააბრუნებენ. თბილისის მთავრობა მზადაა, კოეფიციენტის მოსაკრებლისგან გაათავისუფლოს და მშენებლობის ნებართვების ვადა გაუგრძელოს 2008 წლის აგვისტომდე დაწყებულ და ამ დრომდე დაუსრულებელ მშენებლობებს, რისთვისაც საკანონმდებლო ცვლილებას შეიმუშავებს და მოსაკრებლისგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი შეიქმნას“.

რა რაოდენობის დავალიანება დაუგროვდა სამშენებლო კომპანიებს აგვისტოს ომისა და ფინანსური კრიზისის გამო შეჩერებულ ობიექტებზე? რას ნიშნავს მთავრობის ახალი ინიციატივა? — ამ თემებზე „ვერსიას“ ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ლაშა ხუციშვილი** ესაუბრა.

— ბატონო ლაშა, სახელმწიფოს მიმართ დავალიანება რამდენ სამშენებლო კომპანიას დაუგროვდა და რა რაოდენობის თანხაზეა ლაპარაკი?

— საუბარია, დაახლოებით, 15 000-ზე მეტ ფიზიკურ პირსა და 20-ზე მეტ კომპანიაზე. ჯამში, დავალიანება, რომელსაც ჩამოვწერთ, 200 მილიონამდე ლარს შეადგენს. ამასთან, კიდევ ერთხელ განვმარტავ მთავრობის გადაწყვეტილებას: დღგ-სა და K2 ტიპის მოსაკრებლისგან გათავისუფლდებიან ის ობიექტები, რომლებზეც სამშენებლო ნებართვა 2008 წლის აგვისტომდე გაიცა და მშენებლობა დღემდე არ დასრულებულა, ოღონდ იმ პირობით, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში, კომპანიები აღნიშნულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოებს გააგრძელებენ და მშენებლობას სამ წელში დაასრულებენ.

— მთავრობის ეს ინიციატივა რა კონკრეტულ შედეგს მოიტანს?

— აღსანიშნავია, რომ ამ შეღავათებს დარგის განვითარების ხელშესაწყობად ვაწესებთ. ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინასური კრიზისის შემდეგ, არაერთი ობიექტის მშენებლობა შეჩერდა. კომპანიებს, უძრავი ქონების მშენებლობისა და მიწოდებისას, წარმოეშვათ დღგ-ს გადახდის ვალდებულება, რამაც მშენებლობის დასრულება გაართულა. კანონპროექტის მიღების მიზანი სწორედ შეჩერებული მშენებლობების დასრულების ხელშეწყობაა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკას განავითარებს და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის.

— საბოლოოდ, ეს ცვლილება პარლამენტმა უნდა დამტკიცოს, მაგრამ კანონპროექტს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს, არა?

— დიახ, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტზე ფინანსთა სამინისტრო მუშაობს. მნიშვნელოვანია, რომ განხილვაში აქტიურად არიან ჩართულნი უშუალოდ სამშენებლო დარგში მოღვაწე კომპანიები და ბიზნესომბუდსმენი.

— მთავრობა კანონპროექტს პარლამენტში სავარაუდოდ, როდის შეიტანს?

— უახლოეს პერიოდში...

რამდენად დროული და მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივა? რას ნიშნავს K2 მოსაკრებელი და რა შედეგს მოუტანს ამ გადასახადისგან გათავისუფლება სამშენებლო თუ დეველოპერულ კომპანიებს? მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარემ, **ირაკლი როსტომაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მთავრობის ახალი ინიციატივა სამშენებლო სექტორს არათუ უშველის, არამედ, გადაარჩენს. მისივე თქმით, ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო, რასაც მსოფლიო ფინანსური კრიზისიც დაერთო, კომპანიებმა დაწყებული მშენებლობების დასრულება ვერ შეძლეს და გადასახადებსაც ობიექტური მიზეზების გამო ვეღარ იხდიდნენ:

„სამწუხაროდ, იმ დავალიანების გადახდა, რაც სახელმწიფოს მიმართ კომპანიებს დაუგროვდა, შეუძლებელი იყო. მაშინ გაკოტრების შესახებ კანონი უნდა ამოქმედებულიყო, რომლითაც საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო კომპანია გაკოტრდებოდა. ძალიან კარგია, რომ მთავრობამ ეს პრობლემა დროულად დაინახა და მისი გადაჭრის სწორი გზაც გამოძებნა. ამ გადაწყვეტილების მიღებაზე აქტიურად მუშაობდა საპარლამენტო კომისია, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, ბიზნესომბუდსმენი და მისი აპარატი, მთავრობის ეკონომიკური საბჭო, მენაშენეთა ასოციაცია. უამრავი შემთხვევა შევისწავლეთ და აღმოჩნდა, რომ ხშირად გამოსავალი, მართლაც, არ არსებობდა — ამ კომპანიებს დავალიანების გადახდა ფიზიკურად არ შეეძლოთ. წარმოიდგინეთ, რამდენად დრამატული ვითარება უნდა ყოფილიყო, სასოწარკვეთილების გამო, სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელს თავი მოეკლა! ძირითადად, იმ კომპანიებს აპატიეს დავალიანება, რომლებიც წლების განმავლობაში კარგ გადამხდელებად ითვლებოდნენ და მათ საქველმოქმედო საქმიანობასაც რომ დავანებოთ თავი, უამრავ ადამიანს ასაქმებდნენ. ვგულისხმობ „არსს“, „აქსისს“, „კიდ არქიტექტურას“, „საბას“, რომლებიც მსხვილი გადამხდელები იყვნენ“.

ირაკლი როსტომაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ნაძალადევის რაიონში, სავაჭრო ცენტრ „ქარვასლას“ უკან მიმდინარეობდა მშენებლობა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეჩერდა; საბურთალოს ქუჩასა და ბახტრიონის დასახლებას შორის, უზარმაზარი კომპლექსი შენდებოდა; დაბა ბაკურიანში უნდა აშენებულიყო ობიექტი, რომელიც ომის შემდეგ შეჩერდა. როსტომაშვილის თქმით, ძნელია, ყველა ობიექტის ჩამოთვლა, რომლებზეც კომპანიებმა ნებართვა 2008 წლის აგვისტომდე მიიღეს. მთავრობის გადაწყვეტილებას პოზიტიური შედეგი მოჰყვება, რადგან სამშენებლო კომპანიები გამოცოცხლდება და მუშაობას განაახლებს:

„ის მოსახლეობა, რომელიც წლებია, ბინების მოლოდინშია და რომელმაც მშენებარე ბინებში ფული გადაიხადა, ზოგმა — 50 000, ზოგმაც — 60 000 აშშ დოლარი, ძალიან მალე, მაქსიმუმ, სამ წელიწადში, ბინებს მიიღებს. რაც მთავარია, შეჩერებული მშენებლობების განახლებით, უამრავი ადამიანი დასაქმდება. ამით იმის თქმა მინდა, რომ პირობითად, არარსებულ 100-200 მილიონ ლარზე უარის თქმით, რაც სამშენებლო კომპანიებს დავალიანების სახით დაუგროვდათ, ეკონომიკაში ასობით მილიონი ლარი შევა“.

რაც შეეხება K2 მოსაკრებელს, ირაკლი როსტომაშვილის განმარტებით, ეს კოეფიციენტია, რომელიც კონკრეტულ კვადრატულ მეტრზე ანუ კონკრეტულ მიწის ფართზე ასაშენებელი ობიექტის სიდიდეს განსაზღვრავს. თუ, მაგალითად, 1 000 კვადრატულ მეტრს ფლობთ და იმ ტერიტორიაზე K2-ის კოეფიციენტი 4-ია, ეს ნიშნავს, რომ ასაშენებელი ობიექტის საერთო ფართი 4-ჯერ მეტი ანუ 4 000 კვადრატული მეტრი უნდა იყოს. ირაკლი როსტომაშვილის თქმითვე, მაშინ, როცა სამშენებლო სექტორს გაუჭირდა, თბილისის მაშინდელმა მერმა, გიგი უგულავამ, შეჩერებულ მშენებლობებზე სართულების დამატების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა სართულების დამატება ფასიანი იყო და მშენებელი ამ კოეფიციენტს ყიდულობდა. თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე K2-ის კოეფიციენტი 4 იყო, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, K2-ს 6-მდე გაუზრდიდნენ, შედეგად, სამშენებლო კომპანია თავის ობიექტს რამდენიმე სართულს დაუმატებდა. სამშენებლო კომპანიების ნაწილმა თბილისის მერიის მაშინდელი გადაწყვეტილება გამოიყენა და საკუთარ ობიექტებს სართულები დააშენა, მაგრამ მოსაკრებლის გადახდა გაუჭირდა და დავალიანების სახით დაუგროვდა. შესაბამისად, დღგ-ს გარდა, ამ კომპანიებისთვის K2 მოსაკრებლის არგადახდაც საკმაოდ დიდი შეღავათი იქნება.

ვერსიანიუსი

მსოფლიო ბანკი სოფლის მეურნეობაში 50 მილიონ დოლარს გამოყოფს

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, პიტერ გუდმანს შეხვდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა მსოფლიო ბანკის ეგიდით განსახორციელებელი „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი“ განიხილეს, რომლის მთლიანი ღირებულება 50 000 000 აშშ დოლარია.

როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, პიტერ გუდმანმა აღნიშნა, საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს: საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციასა და მიწის ბაზრის განვითარებას. პროექტის ძირითადი მიზანი, საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია და გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის ინსტიტუციონალური მხარდაჭერაა.

თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ პროექტის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, დაგეგმილია ქვემო სამგორის, ზედა რუსა და ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია. პრაქტიკული სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება და სავარაუდოდ, ორ წელიწადში სამივე სარწყავი სისტემა სრულად რეაბილიტირებული იქნება. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად, მსოფლიო ბანკი 31 000 000 ლარამდე გამოყოფს. შეხვედრას გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის ხელმძღვანელი, ლევან დვალი და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ნოდარ კერესელიძე დაესწრნენ.

BPN

„უნდა მოხდეს მსხვერპლშეწირვა!“

„მთავრობის ნდობის საკითხი დადგება!“ — გია ხუხაშვილი სამთავრობო კრიზისს აანონსებს

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

მმართველ გუნდში გაცხოველებული საკადრო წმენდა მიდის. ბოროტი ენები „ოცნების“ კოალიციას დაშლას უწინასწარმეტყველებენ. ლარი „ჯანსაღად“ ეცემა — მოსახლეობა „ზედმეტად ჭარბი ნდობით“ მოსარგებლე მთავრობის ეფექტიან გადაწყვეტილებებს ელის. მოჰყვება თუ არა ყოველივე ამას სოციალური აფეთქება? — „ვერსია“ ექსპერტ გია ხუხაშვილს ესაუბრა.

— ჩვენი საზოგადოებმა გაჭირვებასა და სოციალურ რისკებს, სამწუხაროდ, შეჩვეულია. ყველაფერი გადაგვიტანია და ახლაც ერთ-ერთი ასეთი ეტაპია. ხელისუფლებამ ინფლაციასთან შესაბამისად, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენების შემოსავლის ინდექსაცია მაინც უნდა მოახდინოს, რათა ხალხი უფრო არ გაღარიბდეს... დევალვაციას უცილობლად ინფლაცია მოჰყვება და თავისთავად გაიზრდება სოციალური რისკები. შესაბამისად, სოციალური პროტესტი მოსალოდნელია და პოლიტიკოსებიც, ბუნებრივია, შეეცდებიან, ეს საკითხები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ.

— ყოფილი პრემიერის განცხადებამ, ლარი ჯანსაღად იქცევაო, მოსახლეობის წყრომა გამოიწვია...

— ბიძინა ივანიშვილის მიმართ იმის თქმა არ მინდა, რომ სოციალურად შეჭირვებული ადამიანები არ აინტერესებს. ეს დიდი უსამართლობა იქნება იმიტომ, რომ წლების განმავლობაში, ამის მეტს არაფერს აკეთებდა, თან აბსოლუტურად უანგაროდ და, როცა ზემოხსენებული ფრაზა თქვა, უფრო ეკონომიკური კატეგორიებით აზროვნებდა და არა — სოციალური პოპულისტური ტერმინოლოგიით. ასე რომ, მისდამი გაღიზიანება, ჩემი აზრით, მაინცადამაინც სამართლიანი არაა.

— წინა ხელისუფლება, როგორც ამბობენ, ლარის კურსს ხელოვნურად ინარჩუნებდა. ახლა კი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ღარიბაშვილის მთავრობა ეროვნული ვალუტის ასეთ სწრაფ ვარდნას არ ელოდა. ასეა?

— მაშინ ობიექტური ფაქტორებიც არსებობდა, თან მთავრობისა და ეროვნული ბანკის ურთიერთობაც კარგად იყო კოორდინირებული. ადმინისტრაციულ მეთოდებს, რა თქმა უნდა, იყენებდნენ, მაგრამ მკაცრი პოლიტიკა ამართლებდა. ახლა კი იდეალური მდგომარეობა არც კოორდინაციის მხრივ გვაქვს, არც — ეკონომიკური პროცესის გაჯანსაღების და არც — საბიუჯეტო დისციპლინის. ამ პროცესს გარეფაქტორებიც სერიოზულად აწვება — მოგეხსენებათ, დოლართან მიმართებაში, ყველა ძირითადი ვალუტა მნიშვნელოვნად შემსუბუქდა, მათ შორის, — ევროც... მეჩვენება, ამ პროცესთან დაკავშირებით ხელისუფლებას მაინცადამაინც მწყობრი, კარგად გააზრებული გრძელვადიანი პოლიტიკა არ აქვს.

— დაბნეულობაზე რას იტყვით?

— ამას უფრო ცეცხლი ჩაქრობის რეჟიმში საკითხის გადაწყვეტის მცდელობას დავარქმევდი. საერთოდ, დევალვაციაში იმხელა პრობლემას ვერ ვხედავ, რამხელასაც იმაში, რომ ამით გამოწვეულ სოციალურ რისკებს მთავრობა ადეკვატურად ვერ პასუხობს ანუ ნეგატიურ პროცესებსა თუ სოციალური რისკების დაზღვევის თვალსაზრისით, სწორი პასუხები არ აქვს. ჯერ კიდევ არ გვიგრძნია დევალვაციის უარყოფითი შედეგები, რადგან რაღაც რეზერვი არსებობს. უახლეს პერიოდში კი, ალბათ, ფასების მკვეთ ზრდას უნდა ველოდეთ.

— ეს „უახლესი პერიოდი“ მაინც, რა დროა?

— ფასების სერიოზული ზრდა, ჩემი აზრით, უახლესი ერთი თვის განმავლობაში გარდაუვალია...

— ბატონო გია, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციებით ჩვენც ვზარალდებით?

— ირიბად, რა თქმა უნდა...

— გაუფასურებული ლარი სამთავრობო კრიზისის საფუძველი ხომ არ გახდება?

— სამთავრობო კრიზისი გარდაუვალი მგონია. ეკონომიკა და სოციალური რისკები ერთია, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლება აქტიურად ვერც საგარეო რისკებს პასუხობს და ვერც საშინაოს. პრაქტიკულად, არ გვაქვს უპრობლემო მიმართულება. მთავრობამ ვერა და ვერ „აკრიფა“ დინამიკა, რომ ყოფითი მოვლენები რაღაც სისტემური გადაწყვეტილებებით შეაჩეროს.

— თქვენი შეფასებით, რომელი სამთავრობო რგოლი მოისუსტებს? ხომ არ დადგება პრემიერის შეცვლის საკითხი?

— პერსონალიებზე ლაპარაკი არ მინდა, აქ მთავრობის მიმართ ნდობის საკითხზეა ლაპარაკი იმიტომ, რომ მთავრობა სოლიდარული პასუხისმგებლობის ორგანოა. ცალკეული მინისტრების პასუხისმგებლობის ეტაპი ქვეყანამ გაიარა... პრემიერ-მინისტრისთვის კითხვების დასმა, კითხვების დასმას მთლიანად მთავრობის მიმართ იწვევს. ცალკე აღებული მინისტრები, თავისთავად, წესიერი ადამიანები არიან და ვიცი, მაქსიმუმს აკეთებენ, მაგრამ ჩემი აზრით, მასშტაბური სახელმწიფოებრივი ხედვა აკლიათ და უფრო ყოველდღიური წვრილმანებით არიან დაკავებულნი, ვიდრე რადიკალური სისტემური გადაწყვეტილებებით, რის გარეშეც ქვეყნის ამ ვითარებიდან გამოყვანა შეუძლებელია. ამ ყოველდღიურ რუტინაში თავი რაღაცნაირად კომფორტულად იგრძნეს და მთლიან სურათს, მგონი, ვეღარ ხედავენ.

— ისიც ვთქვათ, რომ ხელისუფლებას დასავლეთიდან ნაკლები ფინანსური მხარდაჭერა აქვს...

— ფინანსური მხარდაჭერით არც ერთ ქვეყანაში არაფერი გადაწყვეტილა. საერთოდ, დასავლეთის დისტანცირება ყველა მიმართულებით იგრძნობა — სრულფასოვანი კომუნიკაცია არ არსებობს და ბევრი კითხვისნიშანია.

— ამბობთ, რომ პრობლემა პერსონებში არაა. აბა, ბოლო დღეების საკადრო დაჭერები როგორ გავიგოთ?

— კარგია, რომ ხელისუფლება, ერთეული კორუფციული მომენტები იქნება თუ სხვა შემთხვევები, რეაგირებს, მაგრამ პრობლემა სისტემურია. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის რეჟიმი წავიდა, დღევანდელმა ხელისუფლებამ სააკაშვილის სისტემა მთლიანად შეინარჩუნა. სისტემა „ოცნების“ ხელისუფლების გაცხადებულ ხაზთან ინტერესთა კონფლიქტშია... თვითმფრინავი რაც უნდა კარგი იყოს, თუ მართვა არ იცი, პილოტი ვერ გახდები. ასე რომ, პოლიტიკურ ელიტასა და იმ სისტემას შორის, რომლის მართვასაც აპირებენ, შეუთავსებლობაა.

— ანუ ნაცმოძრაობამ კარგი თვითმფრინავი დატოვა, რომელსაც „ოცნება“ ვერ მოერგო?

— ეფექტიანობის თვალსაზრისით, დიახ... ალბათ, ცოტა არასწორი მაგალითი მოვიყვანე, მარტივად რომ გითხრათ, ისეთი სისტემა უნდა მართო, რომლის მართვაც იცი. სხვის მიერ შექმნილი სისტემის მართვა არასოდეს გამოგივა. ამას ისიც ემატება, რომ დღევანდელი ხელისუფლება ბევრად ჰუმანურია, ის სისტემა კი აგრესიას, პოლიტიკურ პოლიციასა და ბიზნესმენების დაშინებას გულისხმობდა. სამართლიანობის აღდგენის კუთხითაც ხელისუფლება რეაგირების რეჟიმში მუშაობს და არა სისტემურად მოგვარების. ლოზუნგების მიუხედავად, თებერვალში ვიწყებთ, მარტში ვიწყებთო, როცა სამართალდამცავი სტრუქტურები სამართლიანობის აღდგენასთან ინტერესთა კონფლიქტში არიან, დაწყება შეუძლებელია...

— სააკაშვილისა და ადეიშვილის საქმეებზე რას იტყვით? საზოგადოებაში ბუნებრივად ჩნდება კითხვები — მაინცდამაინც ახლა რატომ გაჩნდა ადეიშვილისა და სააკაშვილის ექსტრადირების მოთხოვნა და არა — მაშინვე, როგორც კი „ოცნებამ“ ხელისუფლება გადაიბარა?

— წეღან გითხარით, საგარეო დისტანცირება ხდება-მეთქი ანუ, გარკვეულწილად, ჩვენი ხელისუფლება სხვა ენაზე ლაპარაკობს, საერთაშორისო ინსტიტუტები კი — სხვაზე. გაუცხოება მოხდა და ეს ერთ-ერთი პრობლემური თემაა, რისი შედეგებიც ჯერ არ გვინახავს და შესაძლოა, მომავალში ვნახოთ. პრობლემა უკრაინაში არაა — არ მგონია, იქაურ ხელისუფლებაში ნაციონალური ელიტა დასავლეთის, მინიმუმ, რეკომენდაციის გარეშე მოსულიყო. ეს მრავლისმეტყველი მომენტებია და, გრძელვადიან პერსპექტივაში, სერიოზულ რისკებსაც შეიცავს, რაც კარგად უნდა გვესმოდეს. ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებით პროცესი დიდი ხანია მიდის, მაგრამ ხელისუფლებამ, ჩემი აზრით, ხელიდან გაუშვა ოქროს დრო. ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან სისტემის დემონტაჟი გარკვეული დონით უნდა დაწყებულიყო და „ოცნება“ გაუგებარი რეკომენდაციის პროცესში არ გართულიყო. არ ვამბობ, ტოტალური დევნა დაწყებულიყო, მაგრამ გარკვეული ფორმულა მაშინვე უნდა შემუშავებულიყო, რათა არ შეყოვნებულიყო სამართლიანობის აღდგენა. როცა ორი წელი არაფერი ხდება, კოჰაბიტაციაზე საუბრობ და მერე სამართლიანობის აღდგენას იწყებ, ეს ოქროს დრო გაშვებული გაქვს. საზოგადოებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების შესაბამისი ნდობის ლიმიტიც ამოწურული თუ არა, ძალიან შესუსტებულია, ამიტომ მივიღეთ ასეთი მძიმე სურათი.

— სამთავრობო კრიზისი?

— კრიზისში ახლა შევდივართ... დაღმასვლა გრძელდება და პიკი გაზაფხულის მეორე ნახევარში გარდაუვალია... უნდა მოხდეს მსხვერპლშეწირვა.

— პრემიერს შეწირავენ?

— ჩემი აზრით, მთავრობის ნდობის საკითხი დადგება, რაც, თავისთავად, ახალ მინისტრთა კაბინეტს ნიშნავს.

— საპარლამენტო კრიზისსაც ელით?

— პოლიტტექნოლოგიურად, შესაძლოა, ველოდეთ, მაგრამ სახელმწიფოებრივად, ეს სწორი არ იქნებოდა და ხელისუფლებაში ვერც დიდ რესურსს ვხედავ, ასეთი მასშტაბური ოპერაცია წამოიწყოს ანუ რიგგარეშე არჩევნებს ვგულისხმობ.

— ვადამდელი არჩევნების მიზეზი, შესაძლოა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცება-არდამტკიცება გახდეს?

— პრეზიდენტს წარდგენის ექსკლუზიური უფლება აქვს და, თუ პარლამენტმა ჩააგდო, პრეზიდენტი ახალ კანდიდატურას წარადგენს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ პარლამენტი იმის ჟინით, პრეზიდენტი „თავის ადგილას დააყენოს“ და აჩვენოს, ვინაა „უფრო მაგარი“, გვენეტაძეს ჩააგდებს. კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ადამიანები, პარლამენტარები სახელმწიფოზე მაღლა პოლიტიკურ, საკმაოდ წვრილმან მიზნებს აყენებენ. არა მგონია, ვინმეს იგივე პარლამენტში ჰყავდეს გვენეტაძეზე უკეთესი კანდიდატურა. არ შეიძლება, პოლიტიკური ინტერესები ყოველთვის სახელმწიფოზე მაღლა დგებოდეს. გვენეტაძის არარჩევითა და ამ პროცესის გაწელვით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა ისევ კუბლაშვილისა და მისი მეგობრების ხელში დარჩება.

— ბატონო გია, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მმართველი კოალიცია დაშლის პირასაა?

— კოალიციის მთავარი შემაკავშირებელი ელემენტი საკუთარი უსუსურობის განცდაა. კოალიციაში შემავალ სუბიექტებს მშვენივრად ესმით, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური პერსპექტივა ერთ მათგანსაც არ აქვს. აქედან გამომდინარე, რაც უნდა უკმაყოფილონი იყვნენ, უსუსურობა საშუალებას არ მისცემს, კოალიციიდან დემარშით გამოვიდნენ. „ოცნებიდან“ გამოსვლა ნებისმიერი მათგანისთვის ხარაკირის ტოლფასია. ეს კარგად ესმით და რაც უნდა შიდაწინააღმდეგობები ჰქონდეთ და ერთმანეთი ეზიზღებოდეთ, მაინც ვერ დაიშლებიან. ერთადერთი გამონაკლისი, შესაძლოა, რესპუბლიკური პარტია იყოს, თუმცა არა იმიტომ, რომ რესპუბლიკელებს განსაკუთრებული პოლიტიკური პერსპექტივა აქვთ, უბრალოდ, იდეოლოგიურად და მენტალურად იმდენად განსხვავდებიან დანარჩენი კოალიციისაგან, რომ შესაძლებელია, კოალიციის დატოვება თვითონ პოლიტიკურმა პროცესმა აიძულოს.

— 26 თებერვალს, ჟენევაში, საქართველოს პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ კარასინს შორის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი უნდა გაიმართოს. თქვენი აზრით, ეს ფორმატი ეფექტიანია?

— საქართველო-რუსეთის ურთიერთობები იმდენად დაბალ ნიშნულზეა, ეფექტებზე ლაპარაკი არასწორია. ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთთან იმაზე კი არ გვიწევს მუშაობა, რამე უკეთესი გავაკეთოთ, არამედ, იმაზე, რომ მდგომარეობა უფრო არ გაუარესდეს და არსებული ვითარება შევინარჩუნოთ. შესაბამისად, ნებისმიერი ფორმატი საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გლობალური რისკები ძალიან მაღალია და მხოლოდ ასეთი ტიპის კონტაქტებს შეუძლიათ თავიდან მორიგი ესკალაციის სპირალი აგვაცილოს. ფორმატის გადახედვაზე ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს, რომ კონტაქტები უნდა გაგრძელდეს... თქმა, ხვალ ან ზეგ ნატო-ში მიგვიღებენ, საზოგადოების მიმართ ცინიკური დამოკიდებულებაა. ადამიანებმა, ვინც წიოდა და კიოდა, მშვენივრად იციან, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს.

— ესე იგი, საქართველოს ევროპული კურსს საფრთხე არ ექმნება ანუ რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებით ქვეყანაში დასავლური განწყობა არ შესუსტდება?

— გააჩნია, რუსეთს რაზე დაველაპარაკებით. რაზეც დღეს ველაპარაკებით, სწორია. ხელისუფლებას არაერთხელ უთქვამს, რომ რუსეთთან დიალოგის გამო, ეროვნული ინტერესების საზიანოდ, რაღაც გარიგებებზე არასოდეს წავა. ეს საკმარისი გზავნილია და ყველა ფრაზაზე ისტერიკა იაფფასიანი პოლიტიკური თამაშია. კულისებში ნებისმიერ ადამიანს, ვინც ამ დღეებში ხელს ისტერიკას უწყობდა, რომ დაელაპარაკოთ, დაგიდასტურებთ, რაც ზურაბ აბაშიძემ თქვა. უბრალოდ, მათ რატომღაც ჰგონიათ, რომ საზოგადოება მუდმივად სიბნელეში უნდა იყოს და ეს მათი ექსკლუზიური ინფორმაციაა, რომელიც მხოლოდ მათი ყურებისთვისაა განკუთვნილი. კარგად შეინახონ თავიანთი ყურები, საზოგადოება ბრძენია და ყველაფერი მათზე უკეთ იცის.

ვერსიანიუსი

გიორგი მარგველაშვილი ყოფილი მაღალჩინოსნების უკრაინაში დანიშვნაზე კომენტარს არ აკეთებს

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნების უკრაინაში დანიშვნას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს ფაქტი ორი ქვეყნის ურთიერთობას საფრთხეს არ შეუქმნის. **„მე სუვერენიტეტს ვცემ პატივს და კომენტარს უკრაინაში დანიშვნებზე არ გავაკეთებ“,** — განაცხადა პრეზიდენტმა. ჟურნალისტის კითხვაზე, შესაძლოა თუ არა საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნების უკრაინაში დანიშვნამ ორი ქვეყნის ურთიერთობას საფრთხე შეუქმნას პრეზიდენტი პასუხობს: **„არა. მარტივი პასუხია კიდევ ერთხელ: მარგველაშვილის, სააკაშვილის, პროშენკოს, იაცენიუკის მიღმა არის ქართულ-უკრაინული ძმობა და ურთიერთობა, რასაც საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება“.** შეგახსენებთ, რომ 22 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა კიევში გამართულ „ღირსების მარშში“ მიიღო მონაწილეობა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

პატიმარი №0578

მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ხილის გარდა, პროდუქტი არ შესულიყო და ამ პროდუქტს სადმე ჩამალული ნაღდი ფულიც არ უნდა შეჰყოლოდა, ვითარება ნელ-ნელა დაიძაბა. ქურდების გარეშე დარჩენილი მაყურებლები „ობშიაკისთვის“ თანხებს ვეღარ აგროვებდნენ. შეიძლებოდა, ეს გარეთ გაკეთებულიყო, მაგრამ ზონაზე ქეში ფული, უბრალოდ, ქრებოდა, რაც ნიშნავდა, რომ ფულზე თამაში უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდეც. ზონაზე ფული უკვე აღარ თუ ვეღარ მოძრაობდა და აზრიც დაკარგა თამაშმა. ქურდებმაც ოფიციალურად აკრძალეს ფულზე თამაში. მაშინ კი, როცა პატიმრები სიგარეტზე გადავიდნენ და ერთმანეთს ბლოკებით უგებდნენ თამბაქოს, თამაშები მთლიანად აიკრძალა, უფრო ზუსტად, პატიმრებს გართობა, მაქსიმუმ, 50 ლარის ღირებულებაზე შეეძლოთ და ერთობოდნენ კიდეც, თუმცა იყო გამონაკლისებიც და ამ გამონაკლისებს ქურდების თანხმობა სჭირდებოდა.

ბანქო ოქროს კბილზე

როგორ იძია შური პატიმარმა ჯეკომ „პადელნიკზე“

„ახალი პატიმარი მოიყვანეს ზონაზე, მაგასთან ჩემი ანგარიშები მაქვს და თამაშის გამოცხადება მინდა. კაიბიჭია, უარს ვერ მეტყვის და ამიტომ ქურდების „დაბრო“ მინდა“, — ჯეკო შ. მაყურებლების კამერაში იჯდა და მშვიდად საუბრობდა.

ჯეკო თავისუფლებაზეც თამაშით ირჩენდა თავს — „იგროკი“ იყო. ზარი და ბანქო თითქოს დედის მუცლიდან დაჰყვა და ამიტომ, სათამაშოდ თითქმის არავინ უჯდებოდა, თუმცა ახლა თავად ითხოვდა თამაშს და ითხოვდა პიროვნული შუღლის გამო. მაყურებლებმა გლდანის ციხის საავადმყოფოში დარეკეს, ტარიელ ფოცხვერიასგან თანხმობა მიიღეს და მთელი ზონა მოლოდინში გაინაბა.

„თამაშს გიცხადებ. შენი ფული უნდა ვჭამო და თან შენ გაყურებინო“, —ჯეკომ გიორგი კამერაში ნახა და ეს სიტყვები დამარცვლით უთხრა.

„ქურდები ჩააყენე საქმის კურსში და მერე მელაპარაკე“, — შეუბღვირა გიორგიმ, მაგრამ იქვე მყოფმა მაყურებელმა ამცნო, რომ ქურდებისგან „მწვანე“ შუქი ჰქონდა.

„კარგი, ისე მოაწყვეთ, რომ მე და ჯეკო ამაღამ ერთ კამერაში დავრჩეთ. თამაშზე თანახმა ვართ და ვინ ვის ფულს შეჭამს, მაგას განახებთ“, — გიორგი შეთავაზებას დასთანხმდა და გადაწყდა, რომ თამაში იმავე ღამეს მაყურებლების კამერაში იქნებოდა. ჯეკო დასაძინებლად წავიდა, ღამე რომ ფიზიზლად ყოფილიყო, გიორგიმაც დაიძინა, პატიმარი №0578 კი მაყურებლების კამერაში ჩავიდა.

„მეც ვრჩები დღეს ამ კამერაში და არ მაინტერესებს, ამას როგორ გააკეთებთ. შანსი არაა, ეს ისტორიული მომენტი გამოვტოვო“, — უთხრა მაყურებლებს.

მათ ერთმანეთს გადახედეს, მერე №0578-ს დააკვირდნენ და...

„ბოლოს და ბოლოს, ამ ზონის მაყურებლები ჩვენ ვართ თუ შენ? ჩამოდიხარ, ულტიმატუმებს გვიყენებ, რა გაახურე საქმე? იცი, ადმინისტრაციამ რომ მოინდომოს, ისე გაგვაქრობს ყველას, „დაჩკის“ ფურცელიც ვეღარ გვიპოვის. რაში გჭირდება, რად გინდა?!“, — შეუტიეს მაყურებლებმა.

„ზონა თქვენია და ვინც ამაში შეგეცილებათ, პირველი მე გამოვაჭამ ყელს, მაგრამ თქვენ ხომ ყველაზე კარგად იცით, რომ ჩემიდან არც ინფორმაცია გავა, არც რამეს დავაშავებ, არც ხელს შეგიშლით და თამაშის დროს არც არაფერს ვიტყვი. უბრალოდ, ის მაინტერესებს, რაც არ მინახავს — ორი დაპირისპირებული კაცის თამაში, რომლებიც ერთმანეთს სიამოვნებით დახოცავდნენ, მაგრამ აქ რომ გააკეთონ, სროკს დაუმატებენ და მხოლოდ ამის გამო იკავებენ თავს“, — არ დანებდა №0578.

„კარგი, დარჩი, მაგრამ გახსოვდეს, თამაშის დროს ნებისმიერი სიტყვა შეიძლება, შენს საზიანოდ შემოტრიალდეს. მათ ერთმანეთს რაც უნდა უთხრან, ხმა არ გაიღო. რაც უნდა გკითხონ, არ უპასუხო, თორემ ვერ გიშველით“, — დაარიგეს მაყურებლებმა.

„და რა უნდა მკითხონ?“ — გაიოცა №0578-მა.

„მაგალითად, ერთი აგებს და გამოუვალი სიტუაცია აქვს. ამ დროს გეკითხება, შენ რას მირჩევ და თუურჩევ, მაშინვე დაგეთანხმება. რომ წააგებს, მერე შენ გეტყვის, შენი რჩევის გამო წავაგეო და შენი გადასახდელი იქნება. გამოცდილ მოთამაშეებს ბევრი გაუფუჭებიათ ასე და შენც არ მოჰყვე ბადეს“, — გააფრთხილეს მაყურებლებმა.

ღამით, როცა ზონა დაიკეტა, მაყურებლების კამერაში ფუსფუსი ატყდა. ვინ ჩაის ხარშავდა, ვინ იმ ადგილს აწყობდა, სადაც უნდა დამჯდარიყო და თამაშისთვის ეყურებინა, რადგან ყველამ იცოდა, თამაში ერთი და ორი საათი კი არა, დილამდე გაგრძელდებოდა. ჯეკო და გიორგი, ერთი შეხედვით, მშვიდად იყვნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ორივე ღელავდა. თამაში დაიწყო და გადაწყდა, რომ მთელი ღამე ბანქო უნდა ეთამაშათ. პირველი ხელი გიორგიმ მოიგო, მეორეც, მესამეც... მეშვიდეც...

„ეს არის თქვენი იგროკი?! ჯეკოს მომგები კაცი არ არისო და აგერ, 350 ლარი წააგო უკვე“, — ჩურჩულით ჰკითხა მაყურებელს №0578-მა.

„თვალებში უყურე. როგორც კი შეეტყობა, რომ გაილაღა, დაძაბულობა მოეხსნა, მაშინ დაიქოქება ჯეკო. მომენტს ელოდება, უნდა მოდუნდეს და მერე შეუსრულებს. ეს იმანაც იცის, მაგრამ გამორიცხულია, ამდენს რომ მოიგებ ზედიზედ, აიჭრები. ჰოდა, მაგას ელოდება ჯეკო“, — ჩურჩულითვე უპასუხა მაყურებელმა.

მხოლოდ მეთერთმეტე ხელი მოიგო ჯეკომ და იმის შემდეგ მშვიდად და მიზანმიმართულად დაიწყო გიორგის ფულის „ჭამა“. დილისკენ ცხადი იყო, რომ გიორგი კამერიდან მინუს 5000 ლარით გავიდოდა, თუმცა ამ დროს მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. ჯეკომ მოულოდნელად კარტი დაყარა, ჯერ მაყურებლებს შეხედა, მერე გიორგის და ძლივს გასაგონად თქვა: „წინადადება მაქვს. თუ წავაგებ, ეს 5000 ჩემი ვალი იყოს, თუ მოვიგებ კიდევ, სანაცვლოდ რაღაც მინდა და ის რაღაც გიორგის აქვს“...

მაყურებლებმა ერთმანეთს შეხედეს, №0578 დაიძაბა.

„თუ ისეთი რამ აქვს, რაც აქ არის და გარედან არ არის საჩალიჩო, შეგიძლია თქვა. თუ სვაბოდის ნივთზეა საუბარი, გამორიცხულია. ის, რაც გინდა, აქ უნდა ჰქონდეს, მაქსიმუმ, თავის კამერაში“, — გამოიტანეს ვერდიქტი მაყურებლებმა.

„არა, აქ აქვს, თან აქვს. მოკლედ, ვითამაშოთ ხუთი ხელი, ვინც მოიგებს, მინიმუმ, სამს, იმის იქნება ყველაფერი. რეალურად, მე ათი ათასით ვრისკავ, იმიტომ, რომ ამის წაგებულსაც ვაბათილებ და მე ვიდებ ვალად ხუთი ათასს“, — მშვიდად საუბრობდა ჯეკო.

„კი, მაგრამ მე აქ სანთებელა, სიგარეტი და ხის ჯვარი მაქვს და შესაბამისად, ვერ ვხვდები, რა ნივთს გულისხმობ. არც სანთებელა და არც სიგარეტი მაგ ფულად არ ღირს, ჯვარიც ჩვეულებრივი ხისაა, მამამ მომიტანა გარედან, ალბათ, ლარი ან ორი ლარი ღირს, ჩემს სახელზეა ნაკურთხი და ვერ ვხვდები, შენ რად გინდა?!“ — გაიოცა გიორგიმ.

„კბილი გაქვს. ოქროს კბილი. აი, ეგ კბილი მინდა“, — დამარცვლა ჯეკომ.

კამერაში ყველამ პირი დააღო. გიორგის ოქროს კბილი მართლაც ჰქონდა, მაგრამ ვერავინ იფიქრებდა, რომ მასზე თამაში მოუვიდოდა თავში აზრად ვინმეს.

„არც ეს კბილი ღირს ეგ ფული. მაქსიმუმ, სამას დოლარად გაგიკეთებს ნებისმიერი და რად გინდა?!“ — დაიძაბა გიორგი.

„მოკლედ, ან ისე ვქნათ, რაც ვთქვი, ან სამ დღეში 5000 გექნება მოსატანი. აქედან ნახევარი ობშიაკში წავა, დანარჩენი ჩამბარდება. მართალია, ობშიაკის წილი ოცი პროცენტია, მაგრამ მე ქურდების მადლიერი ვარ იმისთვის, რომ ამასთან თამაშის უფლება მომცეს“, — გაიღიმა ჯეკომ.

„თანახმა ვარ“, — წართმეული ხმით თქვა გიორგიმ და №0578-მა მაყურებელს გადაულაპარაკა: „წააგებს. წამხდარია კაცი და წააგებს“. მაყურებელმა უხმოდ დაუქნია თავი.

ვარაუდის მიუხედავად, ორი ხელი გიორგიმ მოიგო, ორიც ჯეკომ და მესამე, გადამწყვეტი ხელის დრო დადგა. უპირატესობა აშკარად ჯეკოს მხარეს იყო, როცა გიორგიმ თავი ასწია, უმწეოდ მოავლო თვალი დამსწრეებს და მოულოდნელად №0578-ს ჰკითხა: „შენ როგორ ითამაშებდი ჩემს ადგილზე?!“

პატიმარმა №0578-მა გაოცებისგან პირი დააღო. გულში გაიფიქრა, სითავხედეს საზღვარი არ ჰქონიაო, ხმამაღლა კი არაფერი უთქვამს, უბრალოდ, მხრები აიჩეჩა. გიორგიმ გადამწყვეტი ხელი წააგო. ჯეკო წამოდგა, გაიზმორა და მშვიდად თქვა: „როგორც მოლაპარაკებულები ვართ, სამ დღეში კბილი უნდა ჩამბარდეს“.

დილით ჯეკო №0578-ის კამერაში ავიდა, გვერდით მიუჯდა და აჩურჩულდა.

„მომისმინე, შენ ექიმებს კარგად იცნობ, უნდა დაკერო, რომ გიორგის უმტკივნეულოდ არ ამოუღონ ის კბილი, თან ხომ ნახე, შენც გიმეტებდა. მაგას ეგ კბილი ისე კაპიტალურად აქვს გაკეთებული, ხორცი და ძვალი უნდა მოიგლიჯოს ამოსაღებად“...

„შენ რა იცი, როგორ აქვს გაკეთებული?!“ — გაეღიმა №0578-ს.

„პადელნიკები ვიყავით გარეთ. მერე მიპოდლა, მაგრამ ვერ დავუმტკიცე, სერიოზული თანხა გამიწია. ეგ კბილი როცა გაიკეთა, გვერდით ვყავი მეც და ვამხნევებდი, სიგიჟემდე ეშინია კბილის ექიმის და ახლა ხომ ხვდები, რა დღეში იქნება, საკუთარი ხელით რომ უწევს იმის გაკეთება, რასაც ექიმებსაც კი არ ანებებდა“, — აუხსნა ჯეკომ.

ციხის ექიმებს №0578-ის თქმა არ დასჭირვებიათ. მათ თავად თქვეს უარი კაპიტალურად გაკეთებული კბილის ამოღებაზე და გიორგი იძულებული გახდა, „კაზიოლებისგან“ ბრტყელტუჩა ენათხოვრა და დაახლოებით ერთი საათი წვალობდა კბილის ამოღებას. მესამე დღეს გიორგიმ ჯეკოს ოქროს კბილი მიუტანა და იმანაც, როგორც ნადავლი, დიდის ამბით კისერზე შეიბა. მერე იყო, №0578-მა ჯეკოს რომ უთხრა, როგორც წესი, ყელზე მგლის კბილს იკიდებენ და ეგ შენი გიორგი მგლად გამოგყავსო. ჯეკომ ძაფი მაშინვე ჩამოიგლიჯა და უჯრაში ჩააგდო. მერე, როცა ჯეკოს გათავისუფლების დრო დადგა, კბილი დაიკარგა. ამბობდნენ, გიორგიმ მოიპარა და დამალაო, მაგრამ ეს ვერავინ დაამტკიცა.

ვერსიანიუსი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული გოჩა ც. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქუთაისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 5,5179 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 1,887 გრ ჰეროინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ გოჩა ც. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

საპატრულო პოლიციის ინსპექტორებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს მე-4 ასეულის პატრულ-ინსპექტორებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის აქციის, „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“, ფარგლებში სისხლი კვლავ გაიღეს.

შს სამინისტრო უკვე მეორე წელია მ. იაშვილის სახელობის კლინიკასთან არსებულ „სისხლის ბანკთან“ აქტიურად თანამშრომლობს და უწყებასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ისე სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გარდა წინასწარ დაგეგმილი აქციებისა, საჭიროების შემთხვევაში, კრიტიკულ სიტუაციებში, შეტყობინებისთანავე აბარებენ სისხლს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების ჯანმრთელობის გადასარჩენად.

აღნიშნულ საქველმოქმედო აქციაში სამინისტროს მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

„ვერსიანიუსი“

სუდოკუ

ადვილი

		2					6	5
	8			7	4		2	1
7				2				4
8				4				6
	7						9	
3				6				2
5				3				9
2	6		4	8			3	
1	3					2		

სტანდარტი

9	1		2		3			
4	6	5	1				3	
		2						
	5		8	4	1			
2								6
			9	6	2		4	
						3		
	3				6	8	2	5
			3		7		9	1

რთული

						3		
8					6		4	
	6				3	8		1
5	1			3		2		
		7		9		5		
		2		5			9	7
4		3	1				7	
	9		4					3
		6						

ექსპერტი

	9		1					
				6	3	5		
	7	6			4	3		
	5							8
		9	6		5	4		
1							9	
		8	7			9	6	
		3	2	8				
					6		2	

ძილის სიყვარულს გენის არარსებობა იწვევს

ბევრი ადამიანისთვის ადრე გაღვიძება ძალიან რთულია. საკმარისი ძილის მიუხედავად, ზოგს საწოლიდან ადგომა ძალიან უჭირს, ზოგი კი ერთი-ორი საათით წათვლემის შემდეგაც თავს საკმაოდ მხნედ გრძნობს. აღმოჩნდა, რომ საქმე გენებთან გვაქვს. ჩატარებული კვლევების შემდეგ, სწავლულებმა განაცხადეს, რომ ადამიანებს, რომელთაც სულ ეძინებათ, არ აქვთ გენი, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზმში PER ცილის გამომუშავებაზე. სწორედ ეს ცილა არეგულირებს ადამიანის დღე-ღამის რიტმს. თუ მას ორგანიზმი გამოიმუშავებს, მაშინ ცილა გაღვიძების სიგნალს იძლევა, ხოლო, თუ ის ორგანიზმში არასაკმარისია, მაშინ ადამიანს სულ ეძინება. მეცნიერები აცხადებენ, რომ დღეს უძილობის პრობლემა დედამიწაზე მოსახლეობის 58%-ს აწუხებს. ახლა კი ამ საკითხის მოგვარება ადვილი იქნება, რადგან ორგანიზმში PER-ის ხელოვნურად გამომუშავება შესაძლებელია.

საყოლოეს ქუჩაში ეძებს

ორეგონის შტატში მცხოვრები 82 წლის მამაკაცი, სენდი მაკკულოჩი მეოთხედ დაქორწინებას აპირებს. იგი ქუჩაში კისერზე ჩამოკიდებული აბრით დაიარება, რომელსაც აწერია: ვეძებ ცოლს. მამაკაცების დიდი ნაწილი დაქორწინების შესახებ განცხადებას ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს, ზოგი სოციალურ ქსელში ეძებს მეორე ნახევარს, თანაც, ძირითადად, 20-25 წლის ასაკში. მე კი განსაკუთრებული ხერხი მოვიფიქრე — აბრის წყალობით, ნებისმიერი ქალი მიხვდება, რომ მეორე ნახევარს ვეძებ. ხომ შეიძლება ქუჩაში მოსეირნე ქალბატონს მოვეწონო და რომ არა აბრა, როგორ გაიგებს, 82 წლის კაცი უცოლო რომ ვარ? — აცხადებს უხუცესი სასიძო. როგორც თავად აღიარებს, მან უკვე გააცნობიერა ქორწინების ხიბლი და შეცდომებს აღარ გაიმეორებს. ქალბატონი, რომელიც სენდის მეუღლე გახდება, 60 წელს გადაცილებული უნდა იყოს, ჰქონდეს იუმორის გრძნობა და უყვარდეს წიგნები.

ჩინეთში უჩინარი ტუალეტი დადგეს

ჩინეთის ქალაქ ცზინანში, გასულ კვირას საზოგადოებრივი ტუალეტი გახსნეს, რომელიც მინაში იმალება და მხოლოდ მას შემდეგ „ჩნდება“, რაც მსურველი მასთან დაკავშირებულ მოწყობილობაში მონეტას ჩააგდებს, ასე რომ, ვინც არ გადაიხდის, ვერც ბუნებრივ მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებს. ეს საზოგადოებრივი ტუალეტი კიდევ იმითაა კარგი, რომ არ სჭირდება კონტროლიორი და დაცულია ვანდალებისგან. თუმცა აქ ჩნდება კითხვა — კაბინა კლიენტთან ერთად ხომ არ ჩაიმალება მიწაში? ამათან დაკავშირებით კი არაფერია ნათქვამი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტუალეტი რამდენიმე ხნის წინ ჰოლანდიელმა გამომგონებელმაც წარმოადგინა, მაგრამ ევროპული „უჩინარი“ კაბინა უფასოა და ნიდერლანდების ზოგიერთ ქალაქში უკვე დაიდგა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	3	6	2	8	4	9	7	1
4	1	2	9	7	6	5	8	3
9	8	7	3	5	1	6	4	2
7	9	3	1	6	5	8	2	4
2	6	5	8	4	3	1	9	7
1	4	8	7	2	9	3	6	5
6	2	4	5	3	8	7	1	9
3	7	1	6	9	2	4	5	8
8	5	9	4	1	7	2	3	6

სტანდარტი

7	9	8	6	4	5	3	2	1
2	1	5	7	3	9	8	6	4
6	4	3	8	2	1	9	7	5
9	2	7	4	1	6	5	8	3
5	8	6	3	9	2	4	1	7
4	3	1	5	8	7	6	9	2
3	5	9	2	7	8	1	4	6
1	7	4	9	6	3	2	5	8
8	6	2	1	5	4	7	3	9

რთული

8	1	5	7	3	6	4	2	9
9	2	7	1	8	4	6	5	3
6	4	3	5	2	9	1	8	7
4	3	2	9	5	1	8	7	6
7	8	1	3	6	2	9	4	5
5	9	6	8	4	7	3	1	2
3	7	9	2	1	8	5	6	4
2	6	8	4	9	5	7	3	1
1	5	4	6	7	3	2	9	8

ექსპერტი

3	2	5	6	8	9	1	4	7
4	1	9	7	2	5	6	3	8
8	7	6	4	1	3	9	5	2
5	4	3	2	7	6	8	1	9
2	9	1	8	5	4	3	7	6
6	8	7	9	3	1	5	2	4
1	6	8	3	4	7	2	9	5
9	5	4	1	6	2	7	8	3
7	3	2	5	9	8	4	6	1

მე-10 გვერდი: 1. ბალენდუხტი; 2. მუხამბაზი; 3. ბროუდი; 4. „ლოლიტა“; 5. ნატო; 6. ხუროთმოძღვარი; 7. მეგალომანია; 8. ასლი; 9. ჰოპლიტი; 10. ეხნატონი; 11. არენა; 12. „აბეზარა“; 13. რეგალია; 14. აპერიტივი; 15. იაქი; 16. ბურახი; 17. ერა; 18. ალეპო; 19. ოდეტა; 20. თელა; 21. „ბენტლი“; 22. ურა; 23. ნუარე; 24. „გრემიო“; 25. ზიკურათი; 26. ჯღანი; 27. აორტა; 28. ტრასა; 29. კანტატა; 30. რვაფეხა; 31. თამრო; 32. ამია; 33. იგლუ; 34. ტიარა; 35. პიუზო; 36. სინოდი; 37. ნარი; 38. ვიოტი; 39. იაუზა; 40. ტროა; 41. მუნ; 42. ფატმანი; 43. კარაიანი; 44. მიმი; 45. ბაჟე; 46. ტრიკო; 47. მელ; 48. ურდო; 49. ბმა; 50. მი; 51. კეა; 52. ვუდუ; 53. დუ; 54. ნაია; 55. ტახი;; 56. „აუდი“; 57. ჩალმა; 58. აზო.

მე-12 გვერდი: 1. მარიონეტი; 2. სპრინტი; 3. მარათონი; 4. როიტერი; 5. ომსკი; 6. პოლემიკა; 7. იუვენტუსი; 8. ტუში; 9. მთიები; 10. იდო; 11. სკივრი; 12. ლავაში; 13. აიკიდო; 14. სი; 15. ოდრი; 16. ბილინგვა; 17. მონა; 18. ტირე; 19. ფანდანგო; 20. კუ; 21. დასტაქარი; 22. იდეა; 23. გოლი; 24. გენუა; 25. ალიონი; 26. დრო; 27. ტოგა; 28. აფსიდა; 29. ავერსი; 30. გოტიე; 31. ტელესკოპი; 32. ვო; 33. ნიუანსი; 34. აიდა; 35. ლავრა; 36. შურდული; 37. ჩაი; 38. ასო; 39. ატაშე; 40. ლავანდა; 41. გიდი; 42. ასი; 43. სუნამო; 44. ჰიტროუ; 45. ოტია; 46. უსუპი; 47. ტარა; 48. გნუ; 49. ინტერვიუ; 50. პაატა; 51. ლაგი; 52. ატესტატი; 53. ბმო; 54. ქვა; 55. ჰავანა; 56. რიონი; 57. რკო; 58. დოლი; 59. ნოდარი; 60. გრაალი; 61. ლოუ; 62. პაიკი; 63. დონ; 64. კალია; 65. გრიზლი; 66. პუარო; 67. აპია; 68. ამარტი; 69. ნიტი; 70. ორიონი; 71. აბგა; 72. მასნე; 73. ერი; 74. უფა; 76. ტრალი; 77. არტაანი; 78. ლომი; 79. ბერიკა; 80. ალი; 81. რა; 82. კაირო; 83. ბრგე; 84. სე; 85. ვეა; 86. სიტი; 87. ბრინზა; 88. სინი; 89. ტიტრი.

მუსიკას ყურასასმენი შეგირჩევთ

განწყობის მიხედვით სასურველი მუსიკის შერჩევა ხშირად არც ისე ადვილია და ძიება საათობით გრძელდება. ამ „პრობლემის“ მოხსნაზე იზრუნეს იაპონელმა გამომგონებლებმა კომპანიიდან Neurowear — მათი მორიგი ქმნილება ტვინის დევაისია Mico Headphones, რომელიც ტვინის ნახევარსფეროების რიტმის გადამცემს იყენებს და ადამიანის განწყობას ადგენს, შემდგომ კი შესაბამის მელოდიას ურჩევს. ყურსასმენებში ჩამონტაჟებულია ენეცეფალოგრაფი და სხვა მოწყობილობები, რომელიც ადამიანის იმწუთიერ მუსიკალურ სურვილს ამოიცნობს. სმარტფონტან დაკავშირებული ყურსასმენი კომპანიის მონაცემთა ბაზიდან ირჩევს მუსიკას მომხმარებლის ფსიქოემოციური მდგომარეობის მიხედვით. მოწყობილობის გვერდითა პანელები კი, განათებისა და სიმბოლოების მიხედვით, იმის დემონსტრირებას ახდენს, მოსწონს ადამიანს შერჩეული მუსიკა თუ მის მიმართ გულგრილია.

1. ქართული ხალხური ზღაპარი
2. შვედეთის დედაქალაქი
3. სასარგებლო წიაღისეული
4. 100 კგ
5. მზის საგალობელი რაჭაში
6. ქართული წარმართული ღვთაება
7. წყალქვეშა ჭურვი
8. სახის კანის მოვლა-გალამაზება
9. ძვირფასი მეტალი
10. კუნძულოვანი ქვეყანა ევროპაში
11. ხუთი მუსიკოსისგან შედგენილი ansamblი
12. ბასკი ფეხბურთელი და მწვრთნელი
13. სიკვდილით დასასჯელი ფიცარნაგი
14. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
15. გაროუსებული იტალიელი არქიტექტ.
16. დიდი რუსი მომღერალი, ბანი
17. წყლიანი ადგილი უდაბნოში
18. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი
19. ბუნებრივი საფეიქრო ბოჭკო
20. კომპოზიტორი ... მორიკონე
21. საკვდომი ნერვის ანთება
22. მარიტას ქმარი
23. ჭურჭლის მესაფუთი მასალა
24. ბუსუსები ქსოვილზე
25. ისრის წვერი
26. ძველ. ბრტყელი გრძელტარიანი მახვილი
27. კუნთის მაქარი
28. თბილისის გარეუბანი
29. მდინარე ლიტვაში
30. კრემიანი ნამცხვარი
31. ძაღლის ჯიში
32. სახელურიანი დასაკეცი სათვალე
33. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
34. წყალქვეშა კლდე
35. უკრაინელი ანარქისტი
36. ფრანგული ავტომარკა
37. იმპერატორთა დინასტია ჩინეთში
38. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
39. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
40. რაჭის „დედაქალაქი“
41. პოლიციელი საფრანგეთში
42. მაროს ქმარი ფილმში „გარიგება“
43. წილი საერთო საქმეში
44. უბედურების საერთაშ. სიგნალი
45. ნ. ბარათაშვილის შინაურული სახელი
46. ბემოლის ანტიპოდი
47. შაკირას ქმარი
48. ... ნორისი
49. კურორტი რაჭაში
50. თმის მცენარეული საღებავი
51. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
52. ქალაქი შუამდინარეთში
53. რუსეთის პარლამენტი
54. III ნოტი
55. ნახატი, რომელზეც ზღვის ხედია გამოსახული
56. ბასკ ტერორისტთა ორგანიზაცია
57. საკონდიტრო ფხვნილი
58. ტოგოს დედაქალაქი
59. გაძლიერ. დაცვითი თამაში იტ. ფეხბურთში
60. ძველი ქართული ხორბლის სახეობა
61. იტალიური ნუშის ლიქიორი
62. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
63. რომაულ მითოლოგიაში: მშობლების მიმართ შვილის სიყვარულის განსახიერება
64. ქართალი შექს რკალი მთვარ. ირგვლივ
65. ჰოლივუდის მსახიობი ... ბოლდუინი
66. კურორტი ჯრასნოდარის მხარეში

ანტისემიტიზმის აბებს ჰყიდიან

„ევროპელ ებრაელთა ორგანიზაციამ“ ანტისემიტიზმის აბების გაყიდვა დაიწყო. როგორც აქტივისტები აცხადებენ, ამ სახით სურთ, გამოხატონ პროტესტი ქვეყანაში არსებული ანტიებრაული განწყობის მიმართ. „წამალს“ „ანტისემიტოქსი“ ჰქვია და მას რეკლამას უწევენ, როგორც „პირველ პანაცეას ანტისემიტიზმის წინააღმდეგ“. „პრეპარატის“ ყოველ შეფუთვაში სამი საწუწნი კანფეტია თაფლის გემოთი, ასევე დეტოქსიკაციის პლასტირები და ქაღალდი, სადაც მითითებულია კანონის მუხლი, ანტისემიტური შეხედულებების საჯარო დემონტრაციის შემთხვევაში არსებული სასჯელის თაობაზე. საფრანგეთის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, ქვეყანაში საკმაოდ დიდია ადამიანთა რაოდენობა, ვისაც ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ებრაელების მიმართ. ძირითადად კი, ანტისემიტიზმის აშკარა გამომხატველები მუსლიმები არიან.

ჯინსი ძალადობისგან დასაცავად

ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა ქალებზე ძალადობის ფაქტები ინდოეთში. სწორედ ამიტომ, ორმა ინდოელმა სტუდენტმა „გაუპატიურების საწინააღმდეგო“ ჯინსი შექმნა, რომელიც სპეციალური მექანიზმითაა აღჭურვილი და განგაშის სიგნალს აწვდის ადგილობრივ პოლიციას. ჯინსის დიზაინის ავტორები 21 და 23 წლის გოგონები არიან. მათი „ნახელავი“ იმით გამოირჩევა, რომ პატარა ელექტრონული მექანიზმია ჩაკერებული. როდესაც მას ხელს დააჭერ, ზარი შედის პოლიციის განყოფილებაში. შესაბამისი ტექნოლოგიით აღიჭურვება სამართალდამცავთა 200-ზე მეტი განყოფილება. ჯინსის ღირებულება სიმბოლურია — მისი შეძენა მხოლოდ ერთ დოლარადაა შესაძლებელი, „მოხმარების ვადა“ კი სამი თვეა — მექანიზმის ელემენტი მხოლოდ ამდენ ხანს ძლებს. ოფიციალური სტატისტიკით, ყოველ 20 წუთში ინდოეთში გაუპატიურების ერთი შემთხვევა ფიქსირდება.

კოსმეტიკა მამაკაცებისთვის

ამ დღეებში ნისლიან ალბიონის მაღაზიებში გაყიდვაში შევიდა უახლესი თაობის კოსმეტიკური პროდუქცია, რომელიც მხოლოდ ძლიერი სქესის წარმომადგენლებისთვისაა განკუთვნილი. მათ შორისაა — წამწამების ტუში, თხევადი პუდრი სახისთვის, უამრავი კრემი და ტუჩის საცხიც კი. ახალ ხაზს ოფიციალური სახელიც აქვს — „ტაქსისტი“, რითაც აღნიშნავენ ფაქტს, რომ კოსმეტიკა გათვლილია სერიოზულ, ოჯახის მამაკაცზე. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თანამედროვე ბრიტანულ საზოგადოებაში მამაკაცურობის გამოხატულების სწრაფი ცვლილება ხდება — კაცები სულ უფრო მეტად ზრუნავენ საკუთარ გარეგნობაზე. შედეგად, ბოლო თვეებში მოთხოვნა დიდია ძლიერი სქესისთვის განკუთვნილ კოსმეტიკაზე. შარშან დიდ ბრიტანეთში 1,4 მილიარდი დოლარის ასეთი პროდუქცია გაიყიდა, წელს კი, ვარაუდობენ, რომ კაცის კრემის, თვალის ტუშის, ფერუმარილის, პომადის გაყიდვა 1,620 მილარდს მიაღწევს.

ხელი – სმარტფონის მაგივრად

უკანასკნელ პერიოდში ელექტრონიკის მწარმოებლებმა „ჭკვიანი“ საათებისა თუ სამაჯურების სხვადასხვა ვარიანტი წარმოადგინეს, რომელთაც შეუძლიათ ნაწილობრივ ჩაანაცვლონ სმარტფონები. სამაჯური, რომელიც კომპანია cicret-მა შემნა, მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება იშვიათად მოიხმარონ სმარტფონები. მოწყობილობის იდეა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩამონტაჟებული მინიპროექტორისა და რამდენიმე სენსორის დახმარებით, სამაჯური ყველა საჭირო ბრძანებას უსადენო კავშირის მეშვეობით ასრულებს. სამაჯური ასევე აღჭურვილია უსბ-პორტითა და აქსელერომეტრით. სამაჯურის ჩართვა მაჯის უბრალო მოძრაობითაა შესაძლებელი. სენსორული ეკრანი კი შესაძლებელია გამოვიდეს როგორც მაჯის შიდა, ასევე გარე მხარეზე. ავტორების თქმით, მოწყობილობა დაცულია წყლის ზემოქმედებისგანაც და არამხოლოდ სხვადასხვა დამატების გაშვება შეუძლია, მფლობელს ზარების განხორციელების საშუალებასაც აძლევს. როგორც ფირმის ერთ-ერთი დამფუძნებელი აცხადებს, სამაჯური ჯერჯერობით მხოლოდ შემუშავების სტადიაშია, თუმცა, მისი პროტოტიპი ორიოდე კვირაში მზად იქნება. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ სიახლე ბაზარზე უკვე მომავალი წლის ზაფხულიდან გამოჩნდება. რაც შეეხება ღირებულებას, სავარაუდოდ, 470 დოლარი იქნება და მომხმარებელს 10 ფერიდან სასურველის ამორჩევა შეეძლება.

სუდოკუ

ადვილი

6				8		1	9	
		7		6				3
4			1				6	5
7		6					2	
				2				
	8					3		9
3	5				2			8
1				3		6		
	6	9		1				2

სტანდარტი

						5		4
5				3			7	1
		6	5					3
					1		8	
		8	4	9	6	3		
	5		8					
6					9	7		
9	3			6				2
1		2						

რთული

	3	6			4	1		
	5	2		3	9			
			6	8				
		5						7
	4			5			8	
2						6		
				9	8			
			3	6		9	2	
		3	7			8	4	

ექსპერტი

	3		9		1	8		
2			8		3			
	1			5				
	9		3			2		
1				7				4
		8			2		9	
				4			5	
			1		7			9
		1	6		5		2	

შოკოლადის ლავშა – იაპონიური ჰიტი

მაკარონი რამენი ტრადიციული საჭმელია ამომავალი მზის ქვეყანაში, რომელიც მოდიდან არასოდეს გადადის, იცვლება მხოლოდ უმნიშვნელო დეტალები. მაგალითად, შარშან იაპონიაში პოპულარული იყო ლაპშა ჩაის ფხვნილით, წლის დასაწყისში კი ახალი ტრენდი გამოჩნდა — მაკარონი შოკოლადით. ამ კერძისთვის ბულიონი ცალკე მიაქვთ, რომელიც ლაპშასა და ბოსტნეულის ნახარშია. გარდა შოკოლადისა, კერძის ტკბილ გემოს ემატება ღორის ხორცის, ტკბილი წიწაკის, ბოლოკის, პიტნის, რეჰანისა და იაპონური ციტრუსის — იუზუსგან მომზადებული ჯემის არომატიც, ახალი კერძის დაგემოვნება კი მსურველს 800 იენი (დაახლოებით 7 დოლარი დაუჯდება).

პროგნოზის უზუსტობა რუბლს დაბრალდა

ჩინეთის ნაციონალურმა მეტეოროლოგიურმა სამსახურმა განაცხადა, რომ მისი პროგნოზების სიზუსტე, შესაძლოა, დაეცეს რუსეთში არსებული ეკონომიკური სიძნელეების გამო. სინოპტიკოსები სამუშაოს ხარისხის გაუარესებას რუბლის კურსის მკვეთრ ვარდნას უკავშირებენ. ამ განცხადებამ სოციალურ ქსელში დიდი დისკუსია გამოიწვია. ჩინელი მომხმარებლები მეტეოროლოგებს თავის გასამართლებლად სულელური მიზეზების მოგონებაში ადანაშაულებენ. ბევრმა ეს ინფორმაცია ხუმრობადაც მიიღო. საზოგადოების კრიტიკას კი სახელმწიფო მოხელეებმა ვითარების ახსნით უპასუხეს: მათი თქმით, რუბლის კურსის შემცირებამ რუსეთში შეამცირა ხარჯი მეოტეოროლოგიურ კვლევებზე. შედეგად კი ჩინელ მეტეოროლოგებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ პროგნოზების შესადგენად, რადგან, მათი განცხადებით, ამინდი რუსეთში არსებით გავლენას ახდენს ტემპერატურულ ცვლილებებზე ჩინეთში.

მეფუნთუშე გულმოდგინე მუშაობისთვის გაასამართლეს

ფრანგი მეფუნთუშე სტეფან კაზნავი, რომელიც „საუკეთესო ბაგეტი-2014“-ის ტიტულის მფლობელია, იმის გამო გაასამართლეს, რომ ძალიან ბევრს და მონდომებით მუშაობდა. მისი საფუნთუშე კვირაში შვიდი დღე ღია იყო, ეს კი ფრანგული კანონებით დაუშვებელია. შრომის ინსპექტორიმა სტეფანს რამოდენიმეჯერ მიაკითხა, მერე კი მის წინააღმდეგ საქმე აღძრეს და განაჩენიც გამოუტანეს — ექვსდღიანი სამუშაო დღე კვირაში. ახლა მისი საფუნთუშე ორშაბათობით დაკეტილია. მეპატრონის თქმით, ზარალი 250 ათას ევროს შეადგენს, ამასთანავე, მოუწევს რამდენიმე თანამშრომლის დათხოვნაც. ძალიან გაოცებული ვარ, მაგრამ რას ვიზამ, ასეთია კანონი, — დასძენს იგი. ფრანგული კანონმდებლობით, რომელიც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ მიიღეს, კვირაში შვიდი დღე მუშაობის უფლება მხოლოდ დაწესებულებათა ზოგიერთ კატეგორიას აქვს: სასტუმროს, სახანძროს.

ბიუროკრატია ინდურად

ინდოეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა ცენტრალური დეპარტამენტიდან გაათავისუფლეს თანამშრომელი, რომელიც სამსახურში 24 წელი არ გამოჩენილა. ელექტროტექნიკოსი ვარმა 1990 წლის დეკემბერში შვებულებაში გავიდა და მას მერე სამსახურში არ დაბრუნებულა. მან შვებულების გაგრძელება ითხოვა, მაგრამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. მას შემდეგაც კი, რაც გამოძიებით სამსახურის გაცდენისთვის ვარმას დანაშაული დადგინდა, — ჯერ კიდევ 1992 წელს — კიდევ 22 წელი გახდა საჭირო იმისთვის, რომ თანამშრომელი საბოლოოდ გაეთავისუფლებინათ. ამის მიზეზი ბიუროკრატიაა, — აღნიშნავენ ქვეყნის სამთავრობო დეპარტამენტში. 2012 წელს ინდური ბიუროკტრატია მთელ აზიაში ყველაზე უარესად აღიარეს. ინდური უწყებების თანამშრომლებს სახელი აქვთ განთქმული სამსაზურში დაგვიანებით, არგამოცხადებით და სამუშაო საათებში გოლფის თამაშით.

ხახვი ალარ აგვატირებს

ბოლო 20 წლის განმავლობაში ბრიტანელი ფერმერი ალასტერ ფინდლი ქალაქ ბედფორდშირიდან ხახვის ახალი ჯიშის გამოყვანაზე მუშაობდა, რომელიც დაჭრისას ადამიანს არ ააცრემლებს და არ დატოვებს უსიამოვნო სუნს მისი ჭამის შემდეგ. მრავალწლიანმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და ცოტა ხნის წინ ასეთი ბოსტნეულის პირველი პარტია — 40 ტონა ქვეყნის სუპარმაკეტებში გამოჩნდა. ხახვი მკვეთრი იისფერი შეფერილობისაა, აქვს ნაზი გემო და არომატი, გაცილებით წვნიანი და ტკბილია წინამორბედთან შედარებით. ასე რომ, მისი ჭამა მთლიანად, კულინარიული დამუშავების გარეშეც, თავისუფლად შეიძლება.

1. გემის აცდენა კურ-სიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით
2.მკითხაობა ხელისგულის ხაზების მიხედვით
3.მართლ-მსაჯულების ქალღმ. რომ. მითოლოგიაში
4. კეთილ-შობილი მეტალი
5.რუსებისა და ყოველივე რუსულის სიძულვილი
6. იგივეა, რაც აფრა
7.შეძ. კონც. ნომრის გამეორების მოთხოვნით
8. მოკარნახე თეატრში
9. სპორტული ცურვის სტილი
10. სამკურნა-ლო ბალახი
11. თბილისის უბანი
12. ათასი მილ-იონი
13. იგივეა, რაც ჯიქანი
14. ბრინ-ჯისგან მომზადებული კერძი
15. ფაფა ბავშვის ენაზე
16. ბამბის რბილი ხაო-იანი ქსოვილი
17.გადასატანი ტუმბო გემ-ზე ცეცხლის ჩასაქრობად
18.უფერული ან მოყვითა-ლო ზეთო-ვანი სითხე
19. საბალო ცეკვა
20.ფქვილის გაცრის ნარჩენი
21. რისამე ცვლის, განვითარების პროცესი
22.სამხედრო გემების დიდი შენაერთი
23. საოპერო პარტია
24. კამეჩის ნაშიერი
25.გიგანტური ინდუსტური ტაძარი კამ-ბოჯაში
26. სო-ციალურად უთანასწორო ქორწინება
27.იაპონიაში ძიუდოსიტთა ოსტატობის ხარისხი
28. უსად-ენო კავშირის ნაირსახეობა
29.ფლოტის სარდალი ძველ საბერ-ძნეთში
30. გაეროს ერთ-ერთი განყოფილება
31. დამუხ-ტული ატომი
32. ქართველი კინოვარსკვ-ლავი ლია ...
33. დეკორატი-ული ბალახით დათესილი ფართობი
34. ისტორიის მუზა
35. იგივეა, რაც კვამლი
36.ცხელი მატონიზი-რებელი სასმელი
37. ლატვიის ეროვნული ვალუტა
38.უძველესი ქართული ბრავალსიმი-ანი საკრავი
39. ველური კომში
40. აკრო-ბატიკაში: ხტომი გადაყ-ირავებით
41. ფრ-ინველის საცხოვრებელი
42. მგა-ლობელი ფრინველი
43.რუსული კინოს ვარსკვ-ლავი ოლეგ ...
44. თეატ-რალური ხელოვნების სახეობა
45. ჯუჯა ხეე-ბის გამოყვანის იაპონური ხელოვნება
46. ტაივანის დედაქალაქი
47. დიდი ფრინველის ჰაერში ლივ-ლივი
48. იგივეა, რაც კეთრი
49. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
50.იაპონ. თეატ-რის სახეობა
51.ზვიადაურის სოფელი
52. მზის საგალობელი რაჭაში
53.ფილიპინე-ბის სიდი-დით მეორე კუნძული
54. საფ-რანგეთის საფესტივალო ქალაქი
55.სახლის წინ შემოღობილი ადგილი
56.ბალახის ჩრდილი
57.ტუზი - ქართულად
58.წმინდა-მატყლიანი ცხვრის ჯიში
59. აშშ-ის მეგაპოლისი ნიუ-...
60. აღ-მოსავლეთი მეზღვაურთა ენაზე
61. სახ-ელმწიფო დასავლეთ აფრიკაში
62. ამერიკელთა მეტსახელი
63. იგივეა, რაც მამითადი
64. სამატომი-ანი ჟანგბადი
65. თმის მცენარეული საღებავი
66. ირლან-დიის რე-სპუბლიკური არმია
67.პატარა მთა
68.აბატი ფარიას ციხე
69.მოჭრილი და ტო-ტებგაცლილი ხე
70. გამარჯვ. ქალღმერთი ბერძნულ მი-თოლოგიაში
71.თვალის ფე-რადი გარსი
72. მდინარე აფხაზეთში
73. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
74. სპეციალური სათამაშო დაწესებუ-ლება, იგივე კა-ზინო
75. მიცვა-ლებულთა მფარველი ღმ. ეგვიპ. მით.
76. ჯულიე-ტას სატრფო
77.„ოთახი“ მატარებლის ვაგონში
78. ქალის სასიმღერო ხმა
79. აიეტის სამეფო
80. ინგ-ლისელთა ტრადიციული ლუდი

ჰაერისთვის გადასახადი დააწესეს

ვენესუელაში, კარაკასის აეროპორტმა მგზავრებისთვის სუფთა ოზონირებული ჰაერით სუნთქვის საფასური დააწესა. შიდა და საერთაშორისო რეისების მგზავრები, რეგისტრაციისას ვალდებულნი არიან, 127 ბოლივარი (დაახლოებით 20 დოლარი) ახალი სავენტილაციო მოწყობილობით სარგებლობისთვის გადაიხადონ, რომელიც წლის დასაწყისში დაამონტაჟეს. აეროპორტის ვებ-გვერდზე ნათქვამია, რომ ეს სამხრეთ ამერიკისთვის ინოვაციური „ბიოუსაფრთხოებისა და ოზონირების“ სისტემაა. ის ჰაერს ოზონით ამდიდრებს, რაც სასიკეთოდ მოქმედებს გარემოზე და მგზავრების ჯანმრთელობაზეო.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.